პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: [illegible] 75 კ. განცხადებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომრის ლის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 6—43. სტამბის ტელეფონი 13—80.

შაბათი, 17 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 14 (1169)

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

დღიური

— ინგლისზე გადიარა თავლიანმა ქარბუქმა. ზარალი დიდია.
— სოფიაში (ბულგარეთი) მოჰკლეს [illegible] ხტეფანოვი.
— დე-სალვა ხელახლა აირჩიეს საფრანგეთის სენატის თავმჯდომარედ.
— დღეს გაიხსნება ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.
— ინდოეთში დაიწყო ინგლისის ჯარების მანევრები.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მუშტა-კრივი გაიმართა.

ორშაბათს, ა. წ. 19 იანვარს საღამოს 6 საათზე
წითელ თეატრში
(ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში)
დანიშნულია თბილისის საბჭოს
მორიგი სხდომა
დღის წესრიგი: 1) ახალ აღმშენებლობისთვის მილიონ ნახევარი მან. სესხის შესახებ.
2) აღმასკომის მოადგილის ანგარიში, მომხს. ამხ. ლ. სუხიშვილი.
3) მიმდინარე საკითხები.
დასწრება ყველა საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ნ. 670. 2—1 პრეზიდიუმი.

საბჭოთა არჩევნები ჩვენში

[illegible] მოკლე ხანში დაიწყება ჩვენში საბჭოთა არჩევნები. უკვე სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

რა ამოცანები დგანან ჩვენს წინაშე ამ არჩევნებთან დაკავშირებით? ამაზე გვაქვს უმაღლეს პარტიულ ორგანოების დადგენილებანი და დირექტივები. ჩვენს პრესაშიც არა ერთხელ გაშუქებულა ეს საკითხი. სხვადასხვა თათბირებს და კრებების მსჯელობის საგნად მრავალჯერ გამხდარა იგი. მაგრამ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და საჭირბოროტო, რომ მასზე კიდევ ბევრჯერ მოგვიხდება მკითხველი მასსის ყურადღების შეჩერება.

საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ დღემდე ჩვენი საბჭოები იყვნენ არა სავსებით ის, რასაც გულისხმობს საბჭოთა წყობილების ბუნება და მიზნები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პირველ ყოვლისა და უმთავრესად პროვინცია, სოფელი. და უნდა ითქვას, რომ აქ საბჭოები საგრძნობლად იყვნენ მოწყვეტილი გლეხთა ფართე მასსებს. მაშინ, როცა თავისი იდეით საბჭოები უნდა წარმოადგენდნენ მშრომელი ხალხის თვითმოქმედების, თაოსნობის და ნებისყოფის გამომხატველ-გამტარებელ ორგანიზაციებს, პრაქტიულად ბევრგან შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საბჭოები თითქმის მარტო ქაღალდზე არსებობდნენ, ნამდვილად კი მართვა-გამგეობის და აღმშენებლობითი საქმეებს განაგებდნენ აღმასკომები, თემებში კი საბჭოს თავმჯდომარეები. საბჭოს წევრები კი ძალიან მცირე მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავის მხრივ ასეთ მდგომარეობას მოჰყვა აქა-იქ საბჭოთა მუშაობის მინელება, გლეხობის დაშორება საბჭოთა ორგანოებისაგან, სოფლად თვითნებობის და უკანონობის აღმოცენება.

მომავალმა არჩევნებმა ყველაფერ ამას ბოლო უნდა მოუღოს.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ არჩევნებზე მოვიზიდოთ მთელი მშრომელი მოსახლეობა, ყველა ისინი, ვისაც ჩვენი კონსტიტუცია ანიჭებს საამისო უფლებას. რუსეთში ამას წინად მომხდარ არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ გლეხობამ ზოგალაგას საგრძნობი გულგრილობა გამოიჩინა საარჩევნო კამპანიისადმი. გლეხობის ასეთ დამოკიდებულებას თავის უაღრესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი მოვალეობისადმი აქვს ისტორიული მიზეზები. მას მეფის დროს არ ჰქონდა არავითარი უფლება მიეღო მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი აქტივობა ამ მხრივ ჩახშული იყო. რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების შვიდი წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა გლეხის პსიქოლოგიის ძირითადი გარდაქმნა. ასე რომ დღეს შემჩნეული გლეხის პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, ერთგვარი გულგრილობა ძველი წყობილების ნაშთია.

ამასთან მისაღებია მხედველობაში შემდეგი გარემოება. რევოლიუციამ მას გადასცა მიწა, განდევნა მემამულეები. ამისათვის გლეხობა იბრძოდა მუშათა კლასთან ერთად. დღეს გლეხს ამ მხრივ სათრთხე არ მოელის. და მისი რევოლიუციონური ენერგია, პოლიტიკური აქტივობაც შესუსტდა, განელდა, ისევ წამოყო თავი ძველმა საზოგადოებრივმა პასივობამ გლეხობაში.

ჩვენ უნდა დავსძლიოთ გლეხობის ეს პასივობა. ამ შემთხვევაში უნდა ავამოძრაოთ ის საარჩევნო კამპანიის საშუალებით.

უნდა იქნას გაშლილი ფართე აგიტაცია-პროპაგანდა და საორგანიზაციო მუშაობა, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ყველა მშრომელმა.

საბჭოებში საკმაოდ უნდა იქნან გაყვანილი უპარტიო მოწინავე გლეხები. თუ ჩვენი სოფლელი ამხანაგები შეეცდებიან მარტო კომუნისტების არჩევას, ეს მათ დამსახურებად არ ჩაეთვლება, პირიქით—ეს იქნება უმაღლეს პარტიულ ორგანოების დირექტივების დარღვევა და ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანების არ გაგება.

გლეხობას უნდა ჰქონდეს საშუალება გაიყვანოს საბჭოებში სოფლისათვის სანდო და ავტორიტეტით აღჭურვილი პირები. არამც და არამც არ შეიძლება დაშვებულ იქნას ამა თუ იმ პირის ზევიდან მოხვევა.

თავისთავად ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების მტრები, კულაკები და სხ. საბჭოების ახლოსაც არ უნდა იქნან გაკარებული. დღეს სოფლად სწარმოებს აშკარა კლასობრივი ბრძოლა. მცირერიცხოვანი, მაგრამ მტკიცე და ეკონომიურად ღონიერი კულაკები ხელს იშვერენ ძალაუფლებისაკენ. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ისინი ამა თუ იმ სახით არ გაძვრენ საბჭოებში.

მათ ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ღარიბი და საშუალო გლეხობის ერთიანი ფრონტი. საბჭოებში უნდა მოხვდნენ მათი საუკეთესო წარმომადგენლები.

კერძოდ უნდა მიექცეს ყურადღება გლეხ ქალების გაყვანას საბჭოებში, სადაც დღემდე მათი რიცხვი შეუდარებლად მცირეა. ეს ბრალია არა მარტო მშრომელ ქალების ჩამორჩენილობის, არამედ მამა-კაცებისაც, რომელნიც საჭირო ზომებს არ იღებენ ქალების გამოსაშვებად საზოგადოებრივ ცხოვრების სარბიელზე.

საბჭოების მუშაობაში აგრეთვე უნდა ჩავაბათ საბჭოთა, მშრომელი ინტელიგენცია,—მასწავლებლობა, აგრონომები, ექიმები, რომელთა შორის ბოლო დროს მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

საბჭოების სახელმძღვანელო ორგანოებში და სხვა თანამდებობაზე უნდა იქნან არჩეული როგორც პოლიტიკურად მტკიცე, ისე საქმის მცოდნე პირები, ამასთან ისეთები, რომელნიც მორალურ ავტორიტეტით სარგებლობენ ხალხის თვალში და აქვთ მისი სიმპატია დამსახურებული.

საბჭოებთან უნდა შეიქმნან სექციები, რომელთა მუშაობაში უნდა იქნან ჩაბმული საბჭოს ყველა წევრები.

ყველა ამ ღონისძიებებით საბჭოები დაუახლოვდებიან მშრომელ მასსას და თვით საბჭოების მუშაობა გაცხოველდება.

ოღონდ, ვიმეორებთ, საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თვითეულმა სოფლად მომუშავე ამხანაგმა, სავსებით შეიგნონ არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები და ამის მიხედვით ყოველი ღონე იხმარონ საარჩევნო კამპანიის სათანადოთ ჩატარებისათვის.

განათლების წითელი არმიის ალლუმი

მასწავლებლების პირველი საკავშირო ყრილობა, უეჭველად, დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. არ ყოფილა ისეთი დრო, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობას არ ჰქონოდეს შეგნებული სახალხო განათლების ამოცანების მთელი სიდიადე. ამას საკმაოდ მოწმობენ მრავალრიცხოვანი წერილები და ამ თემაზე ლაპარაკი ჩვენი ბელადების მიერ.

მაგრამ დაუსრულებელი დაბრკოლებები წინ გადაეღობა ჩვენი ფართო გეგმების განხორციელებას. სამეურნეო ცხოვრების მოშლამ იმდენად შეგვავიწროვა ჩვენ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო თუნდაც რამოდენიმე ნორმალური მუშაობის წარმოება, თავი რომ დავანებოთ პრეტენზიებს სკოლების იმ დონემდი აღდგენაზე, რომელსაც მოითხოვს მათგან მარქსიზმი.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ „მესამე ფრონტს“ დღემდე ეძინა, რომ იქ მოძრაობა არ ყოფილა, რომ ამ ფრონტზე არ მიგვეღწიოს მნიშვნელოვან გამარჯვებებს.

ეს არ არის მართალი, „მესამე ფრონტზე“ განხორციელებულია მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები, გაფართოებულია ჩვენი პოლიტიკური პროგრამა და ის საკმაოდ შეგუებულია ცხოვრების მოთხოვნილებებთან, მომზადებული და გადამზადებული არიან მრავალრიცხოვანი მასწავლებლები.

თანხების გაღება ცენტრში და ადგილებზე ეხლა იზრდება, საშუალებები კიდევ არ არის საკმარისი მაგრამ ის მაინც თანდათან მატულობს და საშუალებას გვაძლევს ვიმუშაოთ ნორმალურად. საერთო ყურადღება ექცევა განათლების მუშაკებს, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის დარგში მომუშავეებს, სასოფლო სკოლას, პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას სოფლად. ყველა გრძნობს იმის აუცილებლობას, რომ განათლების გზით უნდა დაუკავშიროთ ავანგარდს დანარჩენი მრავალრიცხოვანი მასები. ასეთი მუშაობისათვის პირველყოვლისა საჭიროა მასიური მუშაკი, ე. ი. მასწავლებელი.

ვლადიმერ ილიჩი დიდი ხანია უკვე ამბობდა, რომ პარტიას არასოდეს არ შეუძლია გლეხობის საერთო პოლიტიკური და აგრონომიული განათლების იმედი ჰქონდეს, თუ ის სათავეში არ ჩაუდგება 400.000 მასწავლებლისაგან შემდგარ არმიას და არ გადააქცევს მას ისეთ აპარატათ, რომელიც თავისუფლათ და გატაცებით იმუშავებს. ჩვენ დავუახლოვდით ამ მომენტს. თუ კომუნისტური პარტია, თუ საბჭოთა მთავრობა იმ დასკვნამდი მივიდა, რომ უკვე დროა ორივე ხელი ჩავსჭიდოთ ამ აპარატს, რომ დროა დასმული იქნეს ყურადღების ცენტრში განმანათლებელი მუშაობა, განსაკუთრებით სოფლათ, მეორეს მხრივ, თვით მასწავლებლობაშიაც დიდი გარდატეხა მოხდა.

გაუქმდა მთელი შეგნებული პოლიტიკური ოპოზიცია, გაქრა მასწავლებლის ობივატელური უმოძრაობა, მასწავლებელი აღარ არის უკვე მივიწყებული და დაჩაგრული, რაშიაც მას ყველაზე ნაკლებ მიუძღოდა ბრალი. მასწავლებლობის მთელმა მასამ იგრძნო ახალი დროის მოახლოვება, შეიგნო თავისი ახალი მოვალეობა გათავისუფლებულ, შემომქმედ ხალხის წინაშე.

მასწავლებელთა ყრილობა განათლების წითელი არმიის ალლუმია. იქ მასიური მასწავლებლობის წარმომადგენლები შეხვდენ განათლების საქმის ხელმძღვანელებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოციალისტური კავშირის მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი აღმშენებლობის ხელმძღვანელებს.

ეს ყრილობა აღნიშნავს ყველა მნიშვნელოვან ეტაპებს ჩვენს წინმსვლელობაში. ის მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო „მესამე ფრონტზე“, არამედ ის მნიშვნელოვანი მოვლენაა კომუნიზმისაკენ მსვლელობის მთელს ფართე საერთაშორისო ფრონტზე.

ა. ლუნაჩარსკი.

გერმანიის ახალი მთავრობა

ეს ერთი ხანია გერმანიამ მთავრობა დაჰკარგა. 7 დეკემბრიდან ის მის ძებნაშია და დღეს, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, დაბოლოს (როდემდის?) ახ თითქოს იპოვნა ის **ლიუტერის** კაბინეტის სახით.

რა იყო მიზეზი ხუთი კვირის განმავლობაში რესპუბლიკის ფაქტიურად უთავოთ დარჩენისა? რა იყო მიზეზი დაუსრულებელი მოლაპარაკებისა პარტიებს შორის?

მას შემდეგ, რაც გერმანიის ყველა პოლიტიკური პარტიები (გარდა კომუნისტებისა) დაადგნენ ვერსალის ზავით ნაკარნახევ ვალდებულებათა „შესრულების პოლიტიკას“, ერთი ძირითადი საკითხი გახდა ყველასათვის თავსამტვრევი: საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ, რომელმა კლასმა ან რომელმა ეკონომიურ-ფინანსიურმა ძალამ (გერმანიის მეურნეობაში) რამდენი იკისროს იმ საერთო „ხვედრიდან“, რომელიც თავზე მოახვიეს გერმანიას მოკავშირეებმა? ყველა პარტიები (ვიმეორებთ, გარდა კომუნისტებისა) შეთანხმდენ იმაში, რომ მთელი სიმძიმე კონტრიბუციისა ზურგზე შესდონ პროლეტარიატს. მაგრამ საკითხავია როგორ მოახერხონ ეს. აშკარათ, ტლანქათ გაატარონ ეს ზომა და მიაფურთხონ სოციალ-დემოკრატიას, რომელსაც ისინი სთვლიან, მუშების თვალის ასახვევათ, მათი ინტერესების დამცველებათ, თუ ჯერ კიდევ უნდა „ელოლიაონ“ მენშევიკებს, დაუშვან ისინიც მთავრობაში.

გარდა ამისა, ბურჟუაზიული პარტიები იმით როდი კმაყოფილდებიან, რომ პროლეტარიატმა გადიხადოს საბოლოო ანგარიშით მთელი კონტრიბუცია. მათ სურთ ეს „ოპერაცია“ ჩაატარონ ისე, რომ დოუესის (ე. ი. ანტანტის, განსაკუთრებით ამერიკის კაპიტალის მონებათ გადაქცეულ გერმანიის მუშათა კლასის ნაფლარიდან მათ დარჩეთ კიდევ საკმაოთ მსუქანი „ლუკმა“. ამხაირათ ვინ რამდენი იგდოს ამ „ლუკმიდან“—აი ბრძოლის საგანი. პარტიები იბრძოდენ იმისთვის, რომ მათ მიერ წარმოდგენილ ეკონომიური ძალების ინტერესები დაცული იყვნენ იმ ზედმეტის დანაწილების საქმეში, რომელსაც შექმნის პროლეტარიატი, გადამხდელი ანტანტის კონტრიბუციისა.

დღეს დღეობით ძნელია იმის თქმა, თუ როგორ გათავდა „შინაური ვაჭრობა“ ამ პარტიების და მათ მიერ წარმოდგენილ ეკონომიურ ჯგუფებს შორის. ამის შესახებ „ისტორია სდუმს“ და „გარეშეებისათვის“ ეს დროებით საიდუმლოებით იქნება მოცული. ერთი ცხადია — გერმანიის სახელმწიფოს სათავეში უდგება რეაქციონური მთავრობა ჯერჯერობით უსოციალ-დემოკრატიოთ. ცხადია ისიც, რომ მათ დროებით მოახერხეს შეთანხმება ურთიერთ შემარიგებელ პლატფორმაზე.

მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ეს შეთანხმება არის მიღწეული პროლეტარიატის აქტიური ბრძოლის შეწყვეტის პირობებში და ამიტომ გარდამავალი, დროებითია. მისი გადასინჯვა შეიძლება მალე დაუდგეს გადამწყვეტ კითხვათ დამარცხებული და სასოწარკვეთილებას მიცემული ქვეყნის ცხოვრების დღის წესრიგში. ეს ბევრათ დამოკიდებული იქნება იმისაგან, თუ რამდენათ შესძლებს გერმანიის კომუნისტური პარტია, მოწინააღმდეგე მემარჯვენე თუ „მემარცხენე“ კოალიციისა (რომელზეც ამ უკანასკნელ ხანებში ხშირათ ლაპარაკობდენ), ფეხზე დააყენოს გერმანიის პროლეტარიატი აქტიური ბრძოლისათვის შინაურ და გარეშე დოუესების წინააღმდეგ.

ბ.

კერძო თათბირი „იზვესტია“-ს რედაქციასთან

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

რომ ჩამოვკვეთოთ საბჭოთა კავშირისაგან ორი გუბერნია და ვუთხრათ ამ გუბერნიების სოფლის ღარიბ გლეხობას,—შექმენით როგორიც თქვენ გსურთ ისეთი წყობილებაო,—ჩვენი გლეხობა ვერ გამონახავს და არც მოიწადინებს სხვა მართველობას, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა,—ასე განაცხადა „იზვესტიის“ რედაქციასთან საგანგებოთ მოწვეულ კრებაზე ბრიანსკის მაზრიდან გამოგზავნილ დელეგატმა, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობის სრულიად საკავშირო თათბირზე იყო ჩამოსული. და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

თუ დღეს ამდენს ლაპარაკობენ სოფლის ბედ-იღბალზე, თუ დღეს ამდენი იწერება ქოხისა და ქარხნის დაკავშირებაზე, ეს ოდნავათაც იმ განზრახვით არაა გამოწვეული, რომ გლეხობას შეაყვაროს ვინმემ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ამას ხსნის თეთრი ემიგრაციის პრესა. ეს კითხვა კარგა ხანია გადაწყვეტილია თვით სინამდვილის მიერ. საბჭოთა მართვა-გამგეობის ცხოველმყოფელობა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, სრულიად გამართლებულია განვლილ შვიდი წლის პრაქტიკით.

დღეს არავის ფიქრადაც არ მოსდის კითხვის ასე დაყენება, ხოლო რეალურად მოაზროვნე და კონკრეტიულ სინამდვილესთან შეფარდებით მომქმედ მართველ პარტიას არ შეუძლია თვალი დახუჭოს და სირაქლემასავით თავი სილაში ჩაფლას, როცა ის ხედავს რაიმე საშიშროების მოახლოვებას.

აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც მშრომელთა ბატონობის შეუდარებელი ფორმა, სავსებით მიღებული და შესისხლხორცებულია გლეხობის მიერ. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საბჭოთა აპარატი სრულყოფილად და უნაკლოდ მუშაობს სოფლად.

შეიძლება ბევრს ეს პარადოქსათაც მოეჩვენოს, მაგრამ უნდა ითქვას სინამდვილის აღსანიშნავათ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის დასაწყისში კიდევ არაა დასრულებული იმ ტერიტორიის სრული გასაბჭოება, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის სახით.

საქმე ის კი არაა, რომ ფორმალურათ აღიარებულია საბჭოების უზენაესობა—მთავარი ისაა, რომ ამ ფორმაში შესაფერი შინაარსიც ჩაიდოს და სიტყვა საქმეს ეხამებოდეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით სოფლად, სადაც სცხოვრობენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა კულტურულ და ეკონომიურ განვითარების საფეხურზე მდგომი გლეხურ მასების მილიონში, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

საბჭოთა აღმშენებლობის სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც ეხლა აქ მუშაობს, შეკრებილია სწორეთ იმ მიზნით, რომ მან ფარდა ახადოს ჩვენი აპარატის მტკივან ადგილებს, გამოძებნოს ის უარყოფითი მოვლენები, რომელთაც უსათუოდ აქვთ ადგილი საბჭოთა აღმშენებლობაში, და მასთან ერთად მიუთითოს იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ აპარატის გაჯანსაღებისათვის და თანხმოვან მოქმედებისათვის.

თვით საბჭოთა აღმშენებლობის თათბირსაც რომ თავი დავანებოთ, „იზვესტია“-ს რედაქციასთან შემდგარი კრებაც ბევრ საგულისხმო მასალას იძლევა ჩვენი აპარატის ნაკლულევანებათა საილიუსტრაციოდ სოფლად მუშაობაში. როგორც ვიცით, საკავშირო ცაკმა არ დაამტკიცა ზოგიერთ რაიონებში უკანასკნელად ჩატარებული საბჭოთა არჩევნები. დელეგატების კერძო თათბირზე, რომელიც მოხდა „იზვესტია“-ს რედაქციასთან ამავე რედაქციის ინიციატივით, ნათლად გამოირკვა, რამდენად მიზანშეწონილი და სწორი იყო ცაკის მიერ მიღებული ზომა.

მთელ რიგ რაიონებში სოფლის უმრავლესობის გარეშე ჩატარებულა საბჭოების არჩევნები. არის ისეთი ადგილებიც კი, სადაც ადგილობრივ საბჭოს არჩევნებში მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტს მიუღია არჩევნებში მონაწილეობა.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში აპარატის გაჯანსაღებაზე ლაპარაკი, მის ფართე მასსასთან დაახლოვებაზე ზრუნვა და ავტორიტეტის მოხვეჭაზე ფიქრი უბრალო წყლის ნაყვა და თავის მოტყუება იქნებოდა. ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში, როცა გაქრა მემამულის შიში და ბოქაულის მათრახის სუსხი მხოლოდ შორეულ მოგონებათ გადაიქცა, გლეხობის ერთი ნაწილი პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს მიეცა. მას იმდენათ აღარ ერჩის გული აქტიურ პოლიტიკურ მუშაობისაკენ, როგორც ამას სამოქალაქო ომის დღეებში ჰქონდა ადგილი. გლეხობის ასეთი სულისკვეთება, მისი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისადმი გულგრილობა შეუძლია მოხერხებულათ გამოიყენოს რევოლიუციის მტერმა.

დელეგატების კერძო თათბირმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ქალაქიდან სოფლად მუშაკების გაგზავნა ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს და ზოგჯერ უარყოფით შედეგსაც იძლევა. იმის გარდა, რომ ქალაქელ ამხანაგს აკლია სოფლის თავისებურობის ცოდნა, თვით გლეხობა გარედან მოსულ პირს კარგამოკვეთილი ხვდება და განდაგან უცქერს მას. აშკარაა, ამ პირობებში ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ ქალაქიდან ჩასული ამხანაგი გლეხის მესაიდუმლეთ გადაიქცევა და სოფლის ხელმძღვანელობას შესძლებს.

აქ უმთავრესი და პირველი ადგილი ისევ ადგილობრივ სოფლის აქტივს, მოწინავე გლეხობას და ინტელიგენციას ეთმობა. ამათ ყველაზე უკეთ იციან თავის სოფლის ავან-ჩავანი, თავის კუთხის ავი და კარგი.

სოფლად მუშაობის კითხვა დღეს თეორიულ მსჯელობიდან, გაზეთის ფურცლებიდან და მოწოდებიდან პრაქტიკულ მოქმედების სფეროშია გადასული. საბჭოთა აღმშენებლობის თათბირი, მიუხედავათ იმისა, რომ ამ თათბირის ოფიციალურ სახელწოდებაში არაფერია ნახსენები სოფელზე, უმთავრესად სოფლის ამოცანის ირგვლივ მუშაობს, განსაკუთრებით გლეხის კეთილდღეობაზე ზრუნვის.

აკ. ჭყონია.

მოსკოვი, 6 იანვარი.

ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას აუცილებლად სთვლიან
ამერიკის რეაქციონურ წრეებსაც კი შესაძლებლად მიაჩნიათ ჩვენი ცნობა
საფრანგეთის პრესა კმაყოფილია ერბეტის მიღებით საბჭოთა კავშირში
იაპონია-საბჭოთა-კავშირის ხელშეკრულება მოკლე ხანში იქნება ხელმოწერილი
გერმანიაში შესდგა რეაქციონური მთავრობა

ამერიკის შრომის ყვითელი ფედერაციის იერიშები ს.ს.რ.კ. წინააღმდეგ.—[illegible] ღირსეული მემკვიდრე.—კრასინი მოსკოვს გამოემგზავრა.—საფრანგეთში აღშფოთებული არიან ლიუტერის კაბინეტის შემადგენლობით.—ინგლისი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკასთან.—პოლონეთი ემუქრება დანციგს.—ერთა ლიგის კომისარი პოლონეთის წინააღმდეგ.—საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება გაჩაღდა.—„მათხოვრების არმია“ უტევს შანხაის.—ახალგაზრდა მუშების დემონსტრაცია ბერლინში.

როდის გვიცნობს ამერიკა

სენატორ ლედდის აზრი

ნიუ-იორკი. 15 იანვარი. რესპუბლიკანური პარტიის პროგრესიულმა წევრმა—სენატორმა ლედდიმ, რომელიც 1923 წელს ესტუმრა საბჭოთა კავშირს, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი. **„მე ვფიქრობ, რომ შეერთებული შტატები უახლოვდებიან რუსეთის საკითხის გადაწყვეტას. პერსპექტივები ცნობისათვის ეხლა უფრო ხელსაყრელია,** ვიდრე წინეთ იყო, თუმცა შეერთებულმა შტატებმა, როგორც სჩანს, დაკარგეს უკვე კომერციული უპირატესობანი, რომელთა მიღებაც მათ შეეძლოთ მაშინ, თუ უფრო ადრე გაახლებდენ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან“.

„საბჭოთა კავშირს ჩქარა იცნობენ“

ნიუ-იორკი. 15 იანვარი. ხერსტის სააგენტოს ვაშინგტონის კორესპონდენტი აცხადებს, რომ ბორაჰს პოზიციამ საბჭოთა კავშირის საკითხში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იუზის გადადგომის დროს, კორესპონდენტი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა მოახლოვებულია.

დამოკიდებულება საფრანგეთთან

ჩიჩერინი და რაკოვსკი ერბეტთან.

მოსკოვი. 15 იანვარი. დღეს ჩიჩერინმა და რაკოვსკიმ ინახულეს საფრანგეთის ელჩი ერბეტი, რომელთანაც მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ.

კრასინის გამგზავრება მოსკოვში.

პარიზი. 15 იანვარი. ორშაბათს კრასინი მიემგზავრება მოსკოვში.

საფრანგეთის პრესა ერბეტის ჩამოსვლის შესახებ.

პარიზი. 15 იანვარი. საფრანგეთის პრესა თანაგრძნობით უკეთებს კომენტარიებს ერბეტის მიერ კალინინისათვის რწმუნების სიგელების გადაცემას.

მოლაპარაკება იაპონიასთან

ლონდონი. 16 იანვარი. „დეილი ექსპრეს“-ის ცნობებით, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მოსალოდნელია ხელის მოწერა რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულებაზე.

საკითხი სახალინის ნავთიანი მიწების შესახებ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

საბჭოთა კავშირი და ავღანისტანი

საბჭ კავშ ავღანისტანი

ქაბული. 16 იან. 13 იანვარს ქაბულში დაიწყო საბჭოთა კავშირის და ავღანისტანის კონფერენცია, რომელზედაც დადებული იქნება სავაჭრო ხელშეკრულება. გახსნა რა სხდომა, ავღანისტანის ვაჭრობის მინისტრმა მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ **ავღანისტანის მთავრობას სურს სავაჭრო ხელშეკრულება დასდოს საბჭოთა კავშირთან, ამასთანავე მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელობას, რომელიც ექნება ამ ხელშეკრულებას ორივე ქვეყნების ეკონომიური დაახლოვების საქმეში.**

საპასუხო სიტყვაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სტარკმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც ერთგულია აღმოსავლეთის ერების, სცდილობს განამტკიცოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური ურთიერთობა ავღანისტანთან. სავაჭრო ხელშეკრულებამ მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს საბჭოთა კავშირის და ავღანისტანის მეგობრობას.

ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. ინგლისის ბანკის წარმომადგენლები, რომლებიც ამას წინად ჩავიდენ ამერიკაში ადგილობრივ ფინანსიურ წრეებთან მოსალაპარაკებლად, ბრუნდებიან ლონდონში. **მოლაპარაკება საიდუმლოდ სწარმოებდა და ეჭვს გარეშეა, შეეხებოდა ინგლისის დაბრუნებას ოქროს პარიტეტისათვის და** ინგლის-ამერიკის შეთანხმებას საფინანსო პროგრამის საკითხს. მოლაპარაკების მიზანი იყო იმ მეტოქეობის შედეგების თავიდან აცდენა, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ევროპისათვის ფინანსების მიწოდებას ერთსა და იმავე დროს ამერიკის და ინგლისის მიერ.

პარიზი, 16 იანვ. ინგლისის ბანკის მმართველი ლონდონში ბრუნდება ამერიკის ფინანსისტებთან წარმოებულ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ.

ახალი მთავრობა გერმანიაში

ლიუტერი გერმანიის რეიხსკანცლერია

ბერლინი. 15 იანვ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, ლიუტერი დანიშნულია რეიხსკანცლერად.

ლიუტერი მზად არის

პარიზი. 16 იანვ. მიუხედავათ ცენტრის და ნაციონალისტების გაურკვეველი პოზიციისა, შეიძლება ითქვას, რომ ლიუტერმა შესძლო საიმპერიო მთავრობის შედგენა. ოთხშაბათ ღამით ლიუტერმა მოახსენა პრეზიდენტ ებერტს, რომ მისი მოლაპარაკება პარტიების წარმომადგენლებთან წამატებით დამთავრდა და ის მზად არის იკისროს კაბინეტის შედგენა.

კაბინეტის შესაძლებელი შემადგენლობა

პარიზი. 16 იანვარი. ახალი კაბინეტის შესაძლებელი შემადგენლობა ასეთია: **ლიუტერი** (პარტიების გარეშე სდგას)—კანცლერი, **შტრეზემანი** —გარეშე საქმეთა მინისტრი, **შილე** (ნაციონალისტი) შინაგან საქმეთა მინისტრი, **ბრაუნსი** (სახალხო პარტია) შრომის მინისტრი, გრაფი **კაუნიცი** (ნაციონალისტი)—სასურსათო მინისტრი, **ნეიჰაუზი** (ნაციონალისტი) — ეკონომიის მინისტრი, **შოილენი** (ცენტრი) — იუსტიციის და დაპყრობილი ოლქების მინისტრი, **ზემში** (სახალხო პარტია) — ფინანსთა მინისტრი, **ჰოფლე** (ბავარიის სახალხო პარტია)—ფოსტის მინისტრი, **გესლერი** (დემოკრატი) —რეიხსვეის მინისტრი. ამ უკანასკნელის მონაწილეობა კაბინეტში არ ავალებს მის პარტიას მხარი დაუჭიროს მთავრობას.

რეაქციონური მთავრობა.

ბერლინი. 16 იანვარი. გერმანიის რესპუბლიკანური პრესა აცხადებს, რომ ლიუტერის კაბინეტი რეაქციონური მემარჯვენე კაბინეტია. „მიტტაგ ბლატ“-ი იტყობინება, რომ დემოკრატებს განზრახვა აქვთ ლიუტერის კაბინეტის მიმართ აწარმოონ დროის შერჩევის პოლიტიკა.

საფრანგეთში აღშფოთებული არიან.

პარიზი. 16 იანვარი. საფრანგეთის ყველა გაზეთები ლიუტერის კაბინეტს სთვლიან რეაქციონურ კაბინეტათ. „ჟურნალ“-ი აცხადებს, **რომ ლიუტერის კაბინეტის ყველა მინისტრები მონარქისტები არიან და მათ, თუ მოისურვებენ, ეხლავე შეუძლიათ გერმანიის ტახტზე დასვან უფლისწული კრონპრინცი. „ომ ლიბრ“ ლიუტერის კაბინეტს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის აბუჩათ აგდებათ სთვლის.**

შეთანხმებლობისგან სხვას არას მოველით

ნიუ-იორკი. 15 იანვ. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე—გრინი სდუმს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის შესახებ. მაგრამ, მისმა მოადგილემ ვულმა—გომპერსის უახლოესმა თანამშრომელმა, ფედერაციის ხელმძღვანელ წრეების სახელით გამოაქვეყნა განცხადება საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ, რომელშიაც ის იმედს გამოსთქვამს იმის შესახებ, **რომ კულიჯი არ შეცვლის თავის წინანდელ პოლიტიკას. განცხადება შეიცავს მთელ რიგ ანტიკომუნისტურ გამოსვლებს, რომელთა მიზანია გავლენის მოხდენა კულიჯზე იმ მხრივ, რომ მან უარი სთქვას საბჭოთა კავშირის ცნობაზე.**

ფრონტს იცვლიან

ნიუ-იორკი. 16 იანვ. ამერიკის რეაქციონური რესპუბლიკანური პრესაც აგრეთვე შესაძლებლად სთვლის საბჭოთა კავშირის ცნობას ამერიკის მიერ; პრესა აღნიშნავს, რომ კულიჯს განზრახვა არ აქვს შესცვალოს იუზის პოლიტიკა, ის მხოლოდ „განავითარებს მას“.

ნიუ-იორკის გაზეთი „ტრიბიუნ“-ი აცხადებს, რომ **ახლა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს შეიძლება ოპტიმისტურათ უცქიროთ;** გაზეთი მოითხოვს იმას, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა შეასრულოს ის მოთხოვნილება, რომელიც წამოყენებული იყო იუზის მიერ წინასწარი პირობების სახით.

საფრანგეთი და გერმანია

ბერლინი, 16 იანვარი. გაზეთების ცნობებით, სტატს-სეკრეტარმა ტრენდელენბურგმა ოთხშაბათს საფრანგეთის მთავრობას გადასცა გერმანიის კონტრ-წინადადებები დროებით სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ეს კონტრ-წინადადებები მისაღები ფორმით არის შედგენილი. პარიზიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებით. **გერმანიის და საფრანგეთის დელეგატებმა მიაღწიეს შეთანხმებას ტარიფების საკითხში, რომლის მოუგვარებლობა** საბაჟო ომს გამოიწვევდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის.



ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი
ავსტინ ჩემბერლენი
(შარჟი)

უკანასკნელი ცნობები

შეკითხვა დუარნენის გაფიცვის შესახებ

პარიზი. 15 იანვარი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე რადიკალ სოციალისტმა ლებანმა შეიტანა შეკითხვა გაფიცვის შესახებ დუარნენეში. მან განაცხადა რომ დუარნენეს ამბები გამოყენებულ იქნენ რათა აღელვონ საზოგადოებრივი აზრი და შინაგან საქმეთა მინისტრმა შოტანმა, უპასუხა რა ლებანს განაცხადა, რომ კონფლიქტი წარმოიშვა მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. გაფიცულთა აღშფოთება, რომლებიც თვეზე მეტი იტანჯებოდნენ, სრულებით ბუნებრივი იყო მას შემდეგ, რაც მწარმოებლებმა უარი განაცხადეს სამედიატორო სასამართლოზე. ინციდენტს არ მიუღია მაინცდამაინც სერიოზული ხასიათი მოსახლეობის მშვიდობიანობის გამო. მთავრობა დასჯის ყველა დამნაშავეებს.

სოციალისტები ხელს უწყობენ ფაშიზმს

პარიზი. 15 იანვ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, შინაგან საქმეთა მინისტრის შოტანის სიტყვა შეკითხვაზე დუარნენის გაფიცვის შესახებ ყველამ მოიწონა, გარდა კომუნისტებისა. კამათი შეკითხვის შესახებ ხანგრძლივ მღელვარე ხასიათს ღებულობდა. შოტანის შემდეგ გამოვიდა კომუნისტი გალერი, რომელმაც დაგმო გაფიცვის ჩაშლის ცდები და მსხვილ წარმოებებს ბრალი დასდო რეფორმისტულ პროფკავშირების გაერთიანებისთვის სუბსიდიების მიცემაში, მანვე აღნიშნა ფაშიზმის საფრთხე. კომუნისტ დეპუტატმა დორიომ განაცხადა, რომ სოციალისტები, რომლებმაც უღალატეს რა თავის პირვანდელ პრინციპებს, ყველაზე უფრო მეტად უწყობენ ხელს ფაშიზმის განვითარებას.

დეპუტატთა პალატამ 330 ხმით 206 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა მთავრობას

იტალიის კომპარტია ლენინიზმის გზით

რომი. 16 იანვარი. საარჩევნო რეფორმის საკითხის განხილვის დროს პარლამენტში კომპარტიის სახელით გამოვიდა დეპუტატი გრიკო, რომელმაც განაცხადა: „პროლეტარიატის სიმპატია კომპარტიის მიმართ ახლა უფრო დიდია, ვიდრე 1922 წელში. ფაშიზმი გაკოტრდა; ამიტომ ბურჟუაზიას, რომელმაც თავისი ბედ-იღბალი მიანდო ფაშიზმს, ეხლა განზრახვა აქვს იმავე მიზანს მიაღწიოს ეგრედწოდებული „ნორმალიზაციის“ საშუალებით. ოპოზიციას შეუწყნარებლად მიაჩნია ფაშიზმის დამხობა ძალმომრეობით. მას ეშინია, მასსა და ფაშიზმს შორის შეიარაღებული ბრძოლა რომ დაიწყოს, თავი არ წამოჰყოს მესამე ძალამ—მუშათა კლასმა. შეიძლება წინასწარ წარმოვიდგინოთ, რომ ადრე თუ გვიან დავა ოპოზიციასა და ფაშიზმს შორის დასრულდება კომპრომისით. ჩვენ ფაშიზმი მიგვაჩნია მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების გამოხატულებად ოპოზიციის გამოუკლებლად. პროლეტარული მორალი წარმოადგენს მზადებას ბურჟუაზიის იარაღით დამხობისა და პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის გამოვიყენოთ ბრძოლის სხვა საშუალებაც. ჩვენ პარლამენტს ვიყენებთ საპროპაგანდოთ და სააგიტაციოთ. ჩვენ ვეუბნებით მუშებს: თქვენ შეგიძლიათ დაიპყროთ უმრავლესობა პარლამენტში.

მაგრამ მაშინ ბურჟუაზია შეაიარაღებს ფაშიზმს და მომართავს მას თქვენკენ და მის მიერვე შექმნილ პარლამენტის წინააღმდეგ.

„უდიდესი რევოლიუციის ბელადი, ჩვენი დიდი მასწავლებელი ლენინი აღნიშნავდა, რომ ყველა კანონები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ გამოცემული, მიმართულია ამავე ბურჟუაზიული სახელმწიფოს დასაცავად.

ბოლშევიკური ტაქტიკა დამყარებულია არა პარლამენტარიზმზე, არამედ აჯანყების და სამოქალაქო ომის აუცილებლობაზე. მუშათა კლასს მარტო არ შეუძლია გამარჯვება მოიპოვოს, მან უნდა გამონახოს მოკავშირე, ხოლო ასეთ მოკავშირეთ მას გამოადგება არა ბურჟუაზიული დემოკრატია, არამედ გლეხობა, რომელიც ისეთსავე ჩაგვრას განიცდის, როგორც პროლეტარიატი“.

გრიკომ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ არა მხოლოდ ჩვენი საკუთარი თავისთვის, არამედ რუსეთის რევოლიუციისათვისაც ისე, როგორც რუსი ამხანაგები იბრძოდნენ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებისათვის. ჩვენ მივესალმებით კომუნისტურ რუსეთს, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ერთად-ერთ სამშობლოს.

ხმები სპარსეთის ნავთის კონცესიების შესახებ

თეირანი. 16 იანვარი. თეირანში დაჟინებით ვრცელდება ხმები, ვითომ ამ დღეებში მეჯლისში შეტანილ იქნა წინადადება ჩრდილოეთის ნავთის კონცესიის მიცემის შესახებ ამერიკულ საზოგადოება „სტანდარტ ოილ“-ისთვის. სპარსეთის გავლენიან წრეებს ეჭვი ეპარებათ ამ ცდის პრაქტიკულ განხორციელების შესაძლებლობაში. ზოგიერთი გავლენიანი პირები ხსნიან ამ ხმებს, როგორც განსაზღვრულ ორიენტაციის მიმდევარ პირთა სანიმუშო ნაბიჯებს.

ყოფილ დეპუტატ ონიპკოს განცხადება

ვიატკა. 16 იანვარი. „ვიატსკის პრავდა“-ში პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა შრომის ჯგუფის წევრმა ონიპკომ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც უარს აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ორგანიზაციებთან კავშირზე. ონიპკო ერთ დროს დროებითი მთავრობის მთავარი კომისარი იყო ბალტიის ფლოტში, ისე იყო სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი.

შორაპნის მაზრის გლეხკომების ყრილობა

ჭიათურა. 16 იანვ. დამთავრდა გლეხკომების სამაზრო ყრილობა, რომელმაც აღნიშნა გლეხკომების სუსტი მუშაობა. რეზოლიუციაში აღნიშნულია გლეხკომების გამოყენება სპეკულიანტების მიერ, სავაჭრო ოპერაციების არამიზანშეწონილობა, შტატების გაბერვა, სუსტი კავშირი კოოპერაციასთან, ტყეების დასაცავად ზომების მიღების საჭიროება. სარაიონო გლეხკომები დაშლილათ იქნენ გამოცხადებული. ახალ სამაზრო გლეხკომში არჩეულ იქნენ 6 კომუნისტი და 7 უპარტიო. მათ შორის 9 გლეხი და 2 გლეხი ქალი.

ამინდი სოხუმში

სოხუმი. 16 იანვარი. დაიწყო თბილი მზიანი დღეები. საბჭოთა დაწესებულებები აწარმოებენ ყინვების შედეგების გამოკვლევას აფხაზეთის სასოფლო-მეურნეობაში.

ჩვენი ნედლეულობის გატანა

სოხუმი. 16 იანვ. დღეს საღამოს ნოვოროსიისკში გაივლით მიდის ანტვერპენში გერმანული გემი „გალატა“, რომელსაც მიაქვს აფხაზეთის კოოპერატიულ კავშირის 35.000 ფუთი თამბაქო ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის ადრესზე ცენტროსოიუზისთვის. ამავე გემმა ბათომიდან წაიღო შავი ქვა. ნოვოროსიისკში გემი დატვირთება ხიზილალით.

ლტოლვილთა დასახლება

ერევანი. 16 იანვარი. ეგვიპტედან ჩამოსულ სომეხ ლტოლვილებს „ევდოკიელებს“ მიეცა ეჯლიარის რაიონში მიწა სოფლის გასაშენებლათ. ადრიანად გაზაფხულზე იქ დაიწყება სამშენებლო მუშაობა. პარიზიდან მიღებულია დასახმარებლათ 25.000 მანეთი.

პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი

ვარშავა. 15 იანვარი. კონფლიქტი პოლონეთსა და დანციგს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. პოლონეთის პრემიერის მოადგილემ ტუგუტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთავრობას სურს თავიდან აიცილოს შეიარაღებული გამოსვლა, მაგრამ თუ დაღვრილი იქნა თუ გინდ ერთი წვეთი პოლონური სისხლი, მაშინ პოლონეთის მთავრობა იძულებული იქნება ყველაფერზე წავიდეს.

ერთა ლიგის კომისარის ჩარევა

ჟენევა. 16 იანვ. ერთა ლიგის უმაღლესმა კომისარმა თავისუფალ ქალაქ დანციგში წინადადება მისცა სენატს მოხსნას პოლონეთის საფოსტო ყუთები იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის მთავრობა თვითონ უარს იტყვის მათ მოხსნაზე. კომისარმა პოლონეთის მთავრობას დანციგში ურჩია განკარგულება მისცეს პოლონეთის საფოსტო ყუთების მოხსნის შესახებ, რაზედაც უკანასკნელმა გადაჭრით უარი განუცხადა.

პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს ერთა ლიგის კომისრის მოთხოვნილებებს, პოლონეთის პრემიერის მოადგილემ ტუგუტმა სასტიკი პროტესტი განაცხადა კომისრის პოზიციის წინააღმდეგ. აღნიშნა რა, რომ კონფლიქტი უმაღლეს კომისართან მეტად არასასიამოვნოა პოლონეთისათვის, ტუგუტმა განაცხადა, რომ მან არ იცის არც ერთი იმდენად მაღალი თანამდებობის პირი, არც ერთი იმდენად დიდი ნაცია, რომელსაც უფლება ჰქონდეს მოექცეს პოლონეთს, როგორც ზანგთა მოდგმას (უმაღლესი კომისარი მაკდონიელი წინად მსახურობდა ინგლისის აფრიკულ ახალშენებში).

პოლონეთის პრესა იმუქრება და მოითხოვს მაკ დონეილის გაწვევას დანციგიდან.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ლონდონი, 16 იანვარი. „დეილი მეილ“-ის შანხაის კორესპონდენტის ცნობებით, ლუ-იუნ-სიანმა, პროვინცია ჩე-კიანგის ყოფილმა გუბერნატორმა, რომელიც მხარს უჭერდა ჩჟან-ძო-ლინს, ნანკინში შეაგროვა არმია და ის შანხაიზე გასალაშქრებლათ ემზადება. შეტაკება აუცილებელია, თუ ჩი-სი-იუანი არ დასცლის მის მიერ დაკავებულ შანხაის. ლუ-იუნ-სიანის არმიის შემადგენლობაში შედის რაზმი აქლემებზე, რასაც აქამდის ადგილი არ ჰქონია ცენტრალურ ჩინეთში. ლუ-იუნგ-ხანის ერთ-ერთ დივიზიას ეწოდება „მათხოვართა არმია“ რადგან ის შედგება უმთავრესად პროფესიონალურ მათხოვრებისაგან.

მოკავშირეთა ვალების საკითხი

კლემანტელის და ჩერჩილის მიწერ-მოწერა

პარიზი 15 იანვ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, კლემანტელმა ჩერჩილს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობას სურს შეუდგეს ყველა იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც წამოაყენა ომის ლიკვიდაციამ, გარდა სარეპარაციო საკითხებისა. წერილში ნათქვამია, რომ საფრანგეთი მზად არის განაახლოს მოკავშირეთა ვალების საკითხის განხილვა, რომ მას სურს მეგობრული გზით გადაიჭრეს ეს საკითხი. საფრანგეთის მთავრობისათვის სასურველი იქნებოდა ცნობების მიღება იმის შესახებ, განაგრძობს თუ არა ინგლისის მთავრობა იმ პრინციპების დაცვას, რომელიც გატარებული იყო საფრანგეთის მიერ ამ საკითხის შესახებ წინად მიღებულ ნოტებში, კერძოდ, კერზონის ნოტაში, ან როგორ წარმოუდგენია ინგლისის მთავრობას ამ პრინციპების განხორციელება.

საპასუხო წერილში ჩერჩილი ესალმება საფრანგეთის ინიციატივას ამ საკითხის გადაჭრის საქმეში და იმედს გამოთქვამს, რომ ინგლისის მთავრობა საშუალებას მისცემს საფრანგეთს წარმოადგინოს თავისი საბოლოო წინადადებები. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ბალფურის ნოტა სახელმძღვანელოდ რჩება ინგლისისათვის. ინგლისის მთავრობა განიხილავს საფრანგეთის ვალების საკითხს იმ ლოიალური მეგობრობის მიხედვით, რომელიც აერთებდა ორივე სახელმწიფოს ომის დროს.

მუშტი-კრივი საფრანგეთის პალატაში

ლონდონი. 16 იანვარი. „დეილი მეილ“-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, როცა სწარმოებდა კამათი ამას წინად ბრეტანში მომხდარ გაფიცვის გარშემო, გამართა მუშტი-კრივი. სოციალისტები ბრალს სდებენ ოპოზიციას შტრეიკ-ბრეხერების დაცვაში. სოციალისტები და ოპოზიციის წევრები წამოხტნენ ადგილებიდან და დაერიენ ერთმანეთს. კამათი ხელჩართული ბრძოლა. სხდომა დაიხურა.

წინ, ლენინიზმისათვის!

ბერლინი. 15 იანვ. გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა კომინტერნის აღმასკომს მიმართა დეპეშით, რომელშიაც ნათქვამია:

„ლენინის გარდაცვალების წლის თავზე გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმი აცხადებს, რომ გერმანიის კომუნისტები მზათ არიან მთელი თავისი ძალ-ღონე შესწირონ ლენინის საქმის განმტკიცებას და გაგრძელებას. რკინისებური ბოლშევიკური ენერგიით უნდა დავიცვათ ჩვენ ლენინის ანდერძი პროლეტარიატის ყველა პირდაპირი მტრების წინააღმდეგ, ყველა მერყევ ელემენტების წინააღმდეგ ჩვენ საკუთარ რიგებში.

მთელი მსოფლიოს კომუნისტებს მაღლა უნდა ეპყროთ ლენინიზმის დროშა. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ლენინის გარდაცვალების წლის თავს აღნიშნავს ბრძოლის ლოზუნგით: „წინ, ლენინიზმისათვის“!

კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავად

გერმანელ ახალგაზრდა პროლეტარების გრანდიოზული დემონსტრაცია

ბერლინი. 15 იანვარი. პოლიციამ აკრძალა ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავი მიტინგი, რომელიც უნდა გამართულიყო 15 იანვარს ბერლინის კომკავშირის ინიციატივით ბიულოვის მოედანზე. უკანასკნელ წუთში აკრძალვა გაუქმებულ იქნა მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილი არ ექნებოდა გალაშქრებას პრეზიდენტ ებერტის წინააღმდეგ.

მიუხედავად წვიმიან ამინდისა შეიკრიბნენ მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა პროლეტარები. პროცესიები მიდიოდნენ ჩირაღდნებით და პლაკატებით, რომლებზედაც წარწერილი იყო „გაათავისუფლეთ 7,000 პოლიტიკური პატიმარი“. დემონსტრაცია გაემართა მოაბიტის საგამომძიებლო ციხისაკენ რევოლიუციონური სიმღერით; დემონსტრანტები მოითხოვდნენ პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას.

ციხის წინ წარმოსთქვეს სიტყვები ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის რევოლიუციონური მოღვაწეობის მნიშვნელობის შესახებ. სიტყვებში აღნიშნავდნენ, რომ ახალგაზრდა პროლეტარიატი ფიცს სდებს, რომ ივლიან ლიბკნეხტის, ლიუქსემბურგის ლენინის და რუსეთის პროლეტარიატის გზით და ყოველივე ძალღონით იბრძოლებს პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებისათვის.

პოლიცია დემონსტრაციის ადგილას მივიდა დაგვიანებით. დემონსტრანტები უკვე დაუბრკოლებლად გაემართნენ სხვა ადგილისაკენ. მეორე ადგილასაც შეჩერდა დემონსტრაცია, გამოვიდნენ ორატორები, ხოლო ამის შემდეგ დემონსტრაცია დაიშალა უინციდენტოდ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახალხო მასწავლებლების უზრუნველყოფა პენსიით

მოსკოვი. 15 იანვ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი სახალხო მასწავლებლების პენსიებით უზრუნველყოფის შესახებ და დაავალა სპეციალურ კომისიას ლეპლევსკის თავმჯდომარეობით სასწრაფოდ გაუკეთოს რედაქცია დადგენილებას და წარუდგინოს ის ხელის მოსაწერად საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს.

მსხვილფეხა საქონლის დაცვა

მოსკოვი. 16 იანვ. მსხვილფეხა საქონლის დასაცავათ რიკოვის კომისიამ გაიღო 10.500.000 მანეთი, რომელიც გაცემული იქნება სესხის სახით. ამ თანხიდან უკრაინას მიეცა 2.500.000 მანეთი, დანარჩენი მიეცა რ. ს. ფ. ს. რ. წინასწარი ცნობებით, ეს სესხი სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქებში განაწილებული იყო 4.360 მეურნეობის შორის, ვორონეჟის გუბერნიაში 6.829 მეურნეობას შორის, ყირგიზეთში მიეცა 3.300 მეურნეობას; პირველი დეკემბრიდან სესხის განაწილება დაიწყო სამარის გუბერნიაშიც.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა

მოსკოვი. 16 იანვარი. შესდგა სრულიად რუსეთის ცაკთან არსებული სასოფლო-მეურნეობის დახმარების კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამგის პოპოვის მოხსენება და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის გოლბერგის თანამოხსენება საბჭოთა კავშირში არსებულ პურის მარაგის და 1925 წლის მოსავალის პერსპექტივების შესახებ.

პოპოვმა მოიყვანა საუწყებათაშორისო კომისიის ცნობები, რომლის მიხედვით საზამთრო ნათესებს ზარალს მიაყენებენ არა ყინვები, არამედ ყინვების უეცარი გალხობა. ყოველ შემთხვევაში, საჭირო რომ გახდეს გაზაფხულზე ზოგიერთი ადგილების ხელახლა დათესვა, ამისათვის საჭირო იქნებოდა 1—2 მილიონი ფუთი თესლი, უმთავრესად რიაზანის, ტამბოვის და ვორონეჟის გუბერნიებში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საბჭოთა კავშირში არსებულ პურის მარაგის საკითხს და აღნიშნავს, რომ 1924 წლის საერთო მოსავალი უდრიდა 2,600,000,000 დე ფუთს, 1 იანვრისათვის დამზადებულ ჭვავის და ხორბლის რაოდენობა უდრიდა 139 მილიონ ფუთს. მომხსენებელი დაასკვნის, რომ აუცილებელია პურის დამზადების გაძლიერება.

კამათის შემდეგ კომიტეტი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: მეტეოროლოგიური ცნობები ამჟამად კიდევ არ იძლევიან საბუთს, რომ გარკვეულ ფაქტად ჩავთვალოთ საზამთრო ნათესების დიდი მოუსავლიანობა. სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა გააძლიერონ პურის დასამზადებელი კამპანია, პურის ფასების პოლიტიკა შეფარდებული უნდა იქნეს ახალ პირობებთან, ზემოდ აღნიშნულ ორგანიზაციებს მიეცეს დამატებითი კრედიტები. ამასთან ერთად აუცილებლად იქნეს ცნობილი კერძო კაპიტალის მონაწილეობა წლის პურის დამზადების და ცალკე რაიონებისათვის პურის მიწოდების საქმეში და ყურადღება მიექცეს მისი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას.

მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა

ჩვენი ამოცანები განათლების დარგში

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

მოსკოვი, 16 იანვ. მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის დილის სხდომაზე 15 იანვარს ამხ. ლუნაჩარსკიმ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჩვენი ამოცანები განათლების დარგში“.

მესამე ფრონტი.

„ჩვენმა ქვეყანამ პოლიტიკურად დაუსწრო ყველა ქვეყნებს, მაგრამ სამეურნეო-საგანმანათლებლო მხრივ იგი ძალიან ჩამორჩენილია და იმყოფება მთელ ბურჟუაზიულ მსოფლიოს მტრულ გარემოცვაში. ამიტომ ჩვენ უნდა მოვუწყოთ ქვეყნის მტკიცე თავდაცვა, ე. წ. პირველი ფრონტი ქვეყნის მეურნეობის მოწესრიგების აუცილებლობამ შექმნა მეორე ფრონტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს წინააღმდეგობა გაუწიოთ მტერს ეკონომიურ დარგში. ბოლოს, ეხლა იწყობა ახალი—განათლების ფრონტი. მესამე ფრონტი მჭიდროდ დაკავშირებულია პირველ ორ ფრონტთან, ვინაიდან ქვეყნის თავდაცვა და მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია განათლების განვითარების გარეშე.

მუშებმა და გლეხებმა უნდა დაიცვან თავისი ხელისუფლება.

ბურჟუაზია, ანვითარებს რა მცხოვრებლებში პატრიოტულ გრძნობებს, დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს სკოლას. ბურჟუაზიის პატრიოტიზმი გამოიხატება იმაში, რომ იგი ამზადებს მუშებს და გლეხებს მჩაგვრელთა და მდიდართა ინტერესების დასაცავად. მაგრამ, ეს პატრიოტიზმი იმსხვრევა ჩვენ თვალწინ და ძალიან საეჭვოა, ბურჟუაზიამ შესძლოს დღეს მუშების და გლეხების მასიური მობილიზაცია.

ჩვენ უპირდაპირებთ ბურჟუაზიულ პატრიოტიზმს უპირველეს ყოვლისა კლასიურ შეგნებას და მოუწოდებთ მუშებს და გლეხებს დაიცვან არა ძველი სამშობლო, არამედ მათი საკუთარი ხელისუფლება. ამიტომ მასების პოლიტიკური განათლება წარმოადგენს თავდაცვის აუცილებელ პირობას. მაგრამ, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული ტექნიკის განვითარება საშუალებას აძლევს ბურჟუაზიულ მთავრობებს არ მიმართონ ხალხთა მასების მობილიზაციას. აქედან გასაგებია ჩვენი მოწოდება მონაწილეობა მიიღონ სამხედრო ფლოტის და ქიმ. მ. გ. საზოგადოებებში, მაგრამ უკანასკნელნი ვერაფერს გახდებიან უმაღლეს ტექნიკის გარეშე. მაგრამ მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ პროფესიონალურ განათლების საშუალებით, რაც წარმოუდგენელია პირველ დაწყებით სწავლის გარეშე.

საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება.

არის კიდევ უფრო დიდი ამოცანა —ეს არის ჩვენი მმართველი აპარატის გაჯანსაღება. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელთა დაპყრობით, მასში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მიზიდვით, ეს ახალგაზრდობა ჩვენ გავიწვიეთ და კიდეც იძლევა მშვენიერ შედეგებს.

გარდა ამისა, საჭიროა მეორე საფეხურის სკოლების რეორგანიზაცია და ფაბრიკა-ქარხნების და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების განმტკიცება, რომელი სკოლებიც უნდა გახდნენ დამაკავშირებელ ხიდათ უმაღლეს სასწავლებლისკენ. მუშფაკები —ეს სამხედრო ზომაა და ისინი აღარ იარსებებენ.

ამასთანავე საშუალო სკოლა უნდა გახდეს ისეთ სკოლად, რომელიც აღზრდის ინტელიგენციას დაბალი აპარატის საკომანდო შემადგენლობის როლის შესასრულებლათ.

ჩვენი ზრუნვის საგანი

ყველაფერი ეს ორგანიულად დაკავშირებულია მეცნიერთა მუშაობასთან. ჩვენ ვზრუნავთ მეცნიერების განვითარებაზე და განათლების ყველა საფეხურებზე აგვყავს მუშების და გლეხების საუკეთესო ნაწილი“.

ხარჯები განათლებაზე გაიზარდა

შემდეგ თავის მოხსენებაში ლუნაჩარსკი აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების მატერიალური ბაზა მაინც შესამჩნევად განმტკიცდა. მაშინ როდესაც შარშან სახალხო განათლების ცენტრალური ბიუჯეტი კავშირში უდრიდა 85 მილიონ მანეთს, წელს იგი აღწევს 140 მილიონ მანეთს.

ადგილობრივ საშუალებიდან შარშან გაღებული იყო 62 მილ. მანეთი, ეხლა ნავარაუდევია 240 მილ. მანეთი. შარშან ჩვენ სახალხო განათლების საქმეს მოვანდომეთ 147 მილიონი მანეთი. ეხლა ვაპირებთ 320 მილიონ მანეთის გაღებას.

სოფლის სკოლების შესაკეთებლად საჭიროა 25 მილიონი მანეთი და ამ მიზნით სახ. განათლების კომისარიატთან და საგუბერნიო სახ. განათლების განყოფილებასთან არსდება საამშენებლო ფონდი. მიღებულია ზომები სოფლებში სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოების გადასაგზავნად 23 მილიონ ეგზემპლიარის რაოდენობით.

მასწავლებლობას მოვალეობა

თავისი სიტყვა ლუნაჩარსკიმ დაამთავრა შემდეგი სიტყვებით:

„თქვენ, მასწავლებლობავ, წარმოადგენთ ახალ მსოფლიოს მოწინავე რაზმს, რომელიც იბრძვის ახალ ადამიანისათვის. მასწავლებელი საიმედო კავშირია გლეხობასთან, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს მდგომარეობას. იგია კავშირი მომავალ თაობასთან რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს მომავალს. დეე, მთელ ქვეყანაში გაისმას ყრილობის ხმა! „გასწორდი წელში მასწავლებელო, დაიჭირე [illegible] ადგილი, რომელიც დათმობილი გაქვს შენ ახალი კულტურის ისტორიაში. (ხანგრძლივი ტაში)“.

ამხ. რიკოვის მიმართვა

ლუნაჩარსკის მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა რიკოვს, რომელიც იყო თავმჯდომარე სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობაზე 1905 წელს და ეხლაც მასწავლებელია. რიკოვმა მიმართა რა უპარტიო მასწავლებლობას, მოუწოდა მხარი დაუჭირონ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, ვინაიდან მათ მოაქვთ მთელ მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლება, ვინაიდან მხოლოდ ისინი აშენებენ ნამდვილ კულტურულ ცხოვრებას

საბჭოთა სკოლა

ამხ. კრუპსკაიას მოხსენება

ამავე სხდომაზე ნ. კრუპსკაიამ გააკეთა მოხსენება საბჭოთა სკოლის შესახებ.

თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ პირობები ხელსაყრელია ახალი სკოლის აღმშენებლობისათვის. ყოველგვარი დაბრკოლებანი ამ მშენებლობის გზაზე გადალახულია, ვინაიდან ქვეყანა დაადგა სრულ ეკონომიურ აღორძინების გზას. ჩვენ თვალწინ მასწავლებლობა პოულობს თავის ადგილს პროლეტარულ რევოლიუციაში.

შემდეგ კრუპსკაია აღნიშნავს ახალგ. კომკავშირის და პიონერების მოძრაობის ზრდას, განსაკუთრებით სოფლად: მცხოვრებლები კეთილგანწყობილებით უცქერიან პიონერთა მოძრაობას. საჭიროა პიონერთა მოძრაობის დაკავშირება სკოლასთან. ახალი სკოლა უნდა შეიჭრას ცხოვრებაში. ამის მიღწევა მრავალ გზით შეიძლება: უფროს კლასების მოწაფეები შეიძლება მიმაგრებული იქნან წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფებთან, შეიძლება მოეწყოს აგრონომიული დახმარება, სანიტარული განათლება სოფელში და სხვა. ეს ამოცანა დაკავშირებულია ცხოვრების შესწავლის ამოცანებთან.

ჩვენს წინაშე დღეს დგულია მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანებისა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი სკოლის საჭიროებებთან. ქვეყნის სკოლების ქსელი ემსახურება ეხლა მხოლოდ სასკოლო ჰასაკის ბავშვთა დიდ ნაწილს. ჩვენი ამოცანაა—ეს ქსელი არამც და არამც არ იქნას შემცირებული, არამედ შეძლებისდაგვარად კიდევ გაფართოვდეს.

შემდეგ საჭიროა გლეხთა ახალგაზრდობის და ფაბრიკა-ქარხნების შეგირდების სკოლების მოწყობა და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მეორე საფეხურის სკოლებს. დღემდის მეორე საფეხურის სკოლებს უცქეროდით, როგორც გასატარებელ პუნქტს უმაღლეს სასწავლებლისაკენ. საჭიროა ამ სკოლის რეორგანიზაცია ისე, რათა მან ცხოვრებისათვის მოამზადოს მოსწავლეები. საჭიროა ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ ღარიბ ფენების წარმომადგენელთა შვილებს გლეხთა [illegible] კომიტეტების და სასკოლო დახმარების [illegible].

მთელი მასწავლებლობა უნდა შეუდგეს საზოგადოებრივ მუშაობას, ახალ სკოლის შესაქმნელად მასწავლებელმა თვითონ უნდა ისწავლოს. პირველყოვლისა საჭიროა დაკმაყოფილოს მასწავლებელი პოლიტიკური ლიტერატურით, რომლის მოთხოვნილება ძალიან დიდია.

კრუპსკაია გამოსთქვამს რწმენას, რომ დღევანდელი ყრილობა წარმოადგენს ახალი სკოლის ერთსულოვან აღმშენებლობის დასაწყისს, რის შესახებაც ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიჩი.

ეროვნული საკითხი და სკოლა

კრუპსკაიას შემდეგ ტიურიაკულოვმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ეროვნული საკითხი და სკოლა“.

მომხსენებელმა ციფრებით დაასურათა ეროვნული სკოლის ზრდა უკრაინაში, თათართა რესპუბლიკაში, აზიაში და საერთოდ საბჭოთა კავშირის ეროვნულ უმცირესობათა შორის.

უკრაინაში ამჟამად 16.000 შრომის სკოლაა. სადაც სწავლება სწარმოებს უკრაინულ ენაზე. თათართა რესპუბლიკაში 1690 სკოლა. შუა აზიის რესპუბლიკებში 673 სკოლა. მრავალი ერები, როგორც, მაგალითად, ბურიატები, იაკუტები, ჩერქეზები პირველად იმუშავებენ თავიანთ მწერლობას.

მუშაკთა სათანადო კადრების მოსამზადებლად აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხთა შორის სამუშაოთ, მოსკოვში გახსნილია განსაკუთრებული უნივერსიტეტები, რომლებშიაც სწავლობენ 1000 კაცზე მეტი.

ეროვნულ უმცირესობათა მასწავლებლობის მორიგ ამოცანად ტიურიაკულოვს მიაჩნია მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის შესწავლა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებულ ქსელის დაცვა, ყურადღების მიქცევა ქალთა სკოლებისათვის, პროფესიონალურ-ტექნიკურ სკოლის განვითარება.

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა

მე მივიღე ბარათები, რომელშიაც მეკითხებიან ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის ცალკე მომენტების შესახებ. ბარათებში ნათქვამია, რომ გლეხი დაინტერესებულია ამ საკითხებით. ეს მე მეტად სასიხარულო ფაქტად მიმაჩნია. ის ფაქტი, რომ თქვენს ყრილობაზე ამაზე სპეციალურად ილაპარაკებს ჩიჩერინი და რომ თითქმის არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ფაბრიკა, არც ერთი თემი, სადაც არ ირჩეოდეს საგარეო პოლიტიკის საკითხები, ამტკიცებს იმას, თუ რამდენად წინ გაუსწრია ჩვენ მეფის საიდუმლო დიპლომატიას.

მე უკვე გუშინ ვთქვი, რომ ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას და რომ ამ პოლიტიკაზე ჩვენ ხელს არ ავიღებთ, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა სცდილობს მტრული ბლოკის შექმნას ჩვენს წინააღმდეგ. როგორც სჩანს, ინგლისი სცდილობს ბალტიის განაპირა მდებარე წვრილი სახელმწიფოები აქციოს ინგლისის გუბერნიებად, რათა ამ გზით განამტკიცოს თავისი გავლენა კონტინენტზე. ჩვენ კი მოწადინებული ვართ მშვიდობიანი ურთიერთობა დავამყაროთ ამ სახელმწიფოებთან და დღემდე ამ მხრივ წარმატებებს ვაღწევთ.

მე მეკითხებიან: „რითი არის გამოწვეული ღვინით ვაჭრობა, რა შემოსავალს იძლევა ის და თუ არის სხვა წყაროები“. მთავარ მოტივს; რომელიც გვაიძულა გამოგვეშვა არაყი, წარმოადგენს არაყის ფარულად ხდა. როგორ ვებრძოლოთ არაყის ფარულად ხდას? პირველ ყოვლისა უნდა ვებრძოლოთ კულტურული ზომებით: კულტურული მუშაობის განვითარებით და მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. მთელ რიგ ადგილებში სოფელი წარმოადგენს არაყის სახდელ ქარხნებს, რომლებიც აწოდებენ ქალაქს ფარულად გამოხდილ არაყს. ძნელი არ არის იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი სოფელი და თემი მუშაობდა მოსკოვისათვის ფარულად გამოხდილი არაყის მიწოდებაზე. მე ვფიქრობ, რომ აქ საქმე გვაქვს ათეულ ათას სახდელ აპარატებთან.

გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს არაყის ფარულად ხდასთან ადმინისტრატიული ზომებით ბრძოლაში, მოწმობს, რომ მარტო რეპრესიული ზომებით საკმაო შედეგების მიღწევა არ შეიძლება. ისე უნდა მოვახერხოთ, რომ არაყის ფარულად გამოხდა არ იყოს შემოსავლიანი საქმე. საჭიროა კულტურული და სამეურნეო ხასიათის ზომები, რომ მოთხოვნილება არაყზე შემცირდეს. იმის ფიქრი, რომ გლეხი, თავისი ცრუმორწმუნეობით, უცოდინარობით, თვითონვე ხელს აიღებს არაყის ფარულად ხდაზე,—ეს ნიშნავს სინამდვილის გაუთვალისწინებლობას. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ალკოჰოლის სავსებით აღმოფხვრას მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობის და თვით მეურნეობის პირველყოფილი ფორმების არსებობის დროს, საჭიროა დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა არაყის ხმარების წინააღმდეგ. უმჯობესია გვქონდეს სათანადო ქარხანაში დამზადებული არაყი, ვინემ სოფლად ფეხი მოიკიდოს ახალმა ბურჟუაზიამ, რომელიც უმზგავსოდ არღვევს კანონებს და ხმარობს აუარებელ პურს, რათა დაიკმაყოფილოს არაყის მოთხოვნილება.

მთელი რიგი ამხანაგები მეკითხებიან იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის სისტემაში. მთავარი, რასაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის სისტემის შეცვლის დროს, ეს არის ის, რომ მსხვილფეხა საქონელი, როგორც გლეხთა მეურნეობის სიძლიერის შემოწმების ერთეული, ისე ძლიერ არ იქნეს წამოყენებული პირველ რიგში, როგორც ეს წინა წლებში იყო. საჭიროა ამის მხედველობაში მიღება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემის შეცვლის დროს და მომავალში ის უნდა გახდეს შემოსავლის [illegible] დასაწესებელ გადასახადის საგანი; ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნორმები უნდა შეეფარდებოდეს გლეხთა მეურნეობის ნამდვილ სიძლიერეს.

ჩემ მიერ მიღებულ ბარათებში არის რამოდენიმე შეკითხვა უმუშევრობისა და მისი სიდიდის შესახებ. უმუშევარა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ამავე წლის განმავლობაში მუშების რიცხვი დამამუშავებელ მრეწველობაში გაიზარდა 11 პროც. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავათ მუშების რიცხვის ზრდისა წარმოებებში, უმუშევართა რიცხვი მაინც გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქში მოდის სოფლების ზედმეტი მოსახლეობა, რომ უმუშევრობა იზრდება სოფლის ხარჯზე, რომ ჩვენს მრეწველობას ჯერ კიდევ არ შეუძლია სამუშაო მისცეს ყველა უმუშევრებს.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს განკარგულებაში არ არის სხვა საშუალებები, გარდა მრეწველობის ჩქარი აღდგენისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა. უმუშევრებს დახმარებას უწევს სოციალური დაზღვევის სალარო. გადადებულია თანხები საზოგადოებრივ სამუშაოთა მოსაწყობათ. მაგრამ აშკარაა, რომ ეს პალიატივები საკმარისი არ არის, რომ ერთად ერთი სალი საშუალება უმუშევრობის შესამცირებლათ არის მომუშავეთა რიცხვის გაძლიერება და სოფლის მეურნეობის შრომის ტევადობის გადიდება.

ებრაელი სოფლის მეურნენი

მიწების მიცემა მშრომელ ებრაელებისათვის

მოსკოვი. 16 იანვ. ამხ. სმიდოვიჩის თავმჯდომარეობით შესდგა მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის კომიტეტის სხდომა; ეს კომიტეტი არსებობს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოსთან. სხდომაზე მოსმენილი იქნა ყირიმის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის იბრაგიმოვის მოხსენება; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყირიმის საბჭოთა რესპუბლიკამ შრომის მიწად-მოწყობის წესით გამოჰყო 40.000 დესეტინა მიწა, რომელზედაც 1925 წელში დასახლებული იქნება გადმოსახლებულ ებრაელთა 1.400 ოჯახი.

კომიტეტმა მიიღო ყირიმის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის წინადადება. არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს ებრაელთა გადასახლება ყირიმში.

შემდეგ განხილული იქნა საკითხი კომიტეტის მიზნებისათვის საჭირო საკრედიტო დაწესებულების ბინის შესახებ. საფინანსო კომისიას დაევალა სასწრაფოდ დაამუშაოს ეს საკითხი და წინასწარი მოლაპარაკება დაიწყოს სათანადო ორგანოებთან და დაწესებულებებთან.

შემდეგ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ლაკისმა კომიტეტს გააცნო სქემატიური გეგმა ებრაელთა 100.000 ოჯახის გადასასახლებლად რუსეთის თავისუფალ მიწებზე. მოხსენება დასამუშავებლად გადაეცა კომიტეტის საგეგმო კომისიას.

შემდეგ მოსმენილი იქნა გეგმა ებრაელთა 3.000 ოჯახის გადასასახლებლად ხერსონის ოლქში, ოდესის გუბერნაციაში და ეკატერინოსლავის გუბერნიის კრივოროგის ოლქში. გეგმა მიღებული იქნა ცნობად, კომიტეტმა ყირიმში გაგზავნა სწავლული აგრონომი ლიუბარსკი, რომელმაც ყირიმის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით უნდა აირჩიოს 23.000 დესეტინა მიწა გადასახლებულ ებრაელთათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

კრედიტი მშრომელებს

ბაქო. 15 იანვ. პროფკავშირების სატარიფო-ეკონომიური განყოფილებების თათბირმა საჭიროთ სცნო გაგრძელდეს გრძელვადიანი კრედიტის მიცემა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

ნავთის ახალი შადრევანი

ბაქო. 15 იანვ. რომანინის რაიონის მესამე სარეწავში 11 იანვარს ამოხეთქა ნავთის შადრევანმა, რომელიც ნავთის დიდ რაოდენობას იძლევა.

აზერბეიჯანი პარიზის გამოფენაზე.

ბაქო. 15 იანვ. აზერბეიჯანი მოწვეულია პარიზის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე. აზერბეიჯანი გამოფენაზე გაგზავნის ნოხებს, ქსოვილებს, ძვლებს და ძვირფას ქვებს; ამას გარდა გამოფენაზე მოწყობილი იქნება ნაციონალური კუთხე.

ბაქოს ახალი საბჭო

ბაქო. იანვ. 16 დღეს შესდგა ბაქოს ახალი საბჭოს (მეექვსე მოწვევის) პირველი სხდომა.

თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. კონუშკინი, მის მოადგილედ—რიზაევი.

ბაქოს აღმასკომში არჩეულია 66 წევრი და 17 კანდიდატი. ამათგან უპარტიო მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან—22 კაცი, წინანდელ აღმასკომში კი არც ერთი უპარტიო არ იყო.

საბჭო ამტკიცებს სამანდატო კომისიას, ნაკაზს და დამატებას ნაკაზისადმი

მუშების წინადადება, რომ ბაქოს საბჭოს მეექვსე მოწვევის ნაცვლად ეწოდოს მერვე მოწვევის (ორი მოწვევის საბჭო შეიკრიბება 1917—18 წ.) მიღებული იქნა ერთხმად.

პირველი ორი მოწვევის საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა დაახასიათეს ბაქოს საბჭოს მუშაობა იმ პერიოდში და გაამუქეს მათი თავმჯდომარეების შაუმიანის და ჯაფარიძის მოღვაწეობა.

საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას.

საინფორმაციო-განყოფილების

21 იანვარი სამუშაო დღეა

დადგენილება № 8.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წლის იანვრის 15-ს.

თანახმად ა. | კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლ. სექტემბრის 10-ს თარიღით გამოქვეყნებულ დადგენილებისა, საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გარდაცვალების დღე — 21 იანვარი სამუშაო დღეა.

2. 1905 წ. 9 იანვრის ხსოვნის დღე — 22 იანვარი ამავე დროს ვ. ი. ულიანოვ-ლენინის ხსოვნის დღედ ცხადდება. ამ დღეს წარმოება-დაწესებულებაში მუშაობა არ სწარმოებს.

შენიშვნა: აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება წყალსადენზე, ელექტრო-სადგურებზე, საავადმყოფოებზე, აფთიაქებზე, ტელეფონზე, ტელეგრაფზე და აგრეთვე იმ წარმოებებზე, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მუშაობის წარმოების ხასიათის გამო.

საქ. შრომ. სახ. კომისარი **ა. მიქაძე.**

საერთო-საორ. გან. გამგე **ვ. კვირიკაშვილი.**

პარტიული ცხოვრება

მუშკორების და გლეხკორების წერილების შესახებ

ს. კ. პ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ჩვენამდე მოღწეულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანოები მუშკორებისა და გლეხკორების წერილებს იხილავენ თვითონ და რედაქციებში გზავნიან მხოლოდ განხილვის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ წერილი მათის შეხედულებით მისაღებია.

მიგვაჩნია რა ასეთი „ცენზურა" ყოვლად დაუშვებლად, საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას გაძლევთ, რომ მომავალში ასეთი რამ არ იქნას განმეორებული.

მუშკორებს და გლეხკორებს უფლება აქვთ წერილები გზავნონ უშუალოდ რედაქციებში; მოთავსებული წერილების შინაარსისთვის პასუხისმგებელია თვით რედაქცია და წერილების ავტორები.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი: **მ. ოკუჯავა.**

ცეკას საგიტ.-საპროპ. გან. გამგე: **ვ. ბახტაძე.**

15 იანვარი
1925 წ.

სოფ. ხალხიფულის უჯრედების დათვალიერება

(ზუგდიდის მაზრა)

1924 წ. დეკემბრის 25 ახალ ხიფულში ჩამოვიდა მაზრის პარტკომის პ | გ მდივანი ამხ. ვ. ჩხეიძე ადგილობრივ უჯრედების დასათვალიერებლად. ამ მიზნისათვის მოწვეული იყო რაიონული კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა რაიკომის პ | გ მდივანი ამხ. პ. იზორია.

მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ჩხეიძემ, რომელიც შეეხო რაიკომის, რაი-აღმასკომის და გლეხკომის მუშაობას.

მაზრის პარტკომის წარმომადგენელმა ამ დარგებში წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, თუმცა ხაზგასმით იქნა აღნიშნული ზოგი უარყოფითი მხარეებიც. კერძოდ კი გამოირკვა, რომ ადგილობრივ საბჭოთა აფთიაქს არ ჰყავს პროვიზორი, შრომის სკოლის 7-წლედის შენობაც შეუკეთებელია, რის გამო შეგირდებს არ შეუძლიათ სისტემატიურად იარონ სკოლაში და სხვა.

ამ ჟამად კი ამხ. ჩხეიძე ათვალიერებს ჩხოროწყუს რაიონის უჯრედებს.

ხარიტონი ხულიკოშვილი.

პარტიული ქრონიკა

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

ს. ა. ლ. კ. კ. კონფერენციების შედეგების შესახებ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის კომიტეტმა და პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობის გაწევა კომკავშირის მუშაობისათვის.

თბილისის მაზრის ადმინისტრატიული დაყოფის პროექტი.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აღმასკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი თბილისის მაზრის ადმინისტრატიული დაყოფის შესახებ.

ნაკაზი დეპუტატებს.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ნაკაზი, რომელიც მიეცემა ახალი საბჭოს დეპუტატებს.

არაპროლეტარული შემადგენლობის გასინჯვა.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა ორგანიზაციის არაპროლეტარულ შემადგენლობის გასინჯვის საკითხი პრაქტიკულ დასამუშავებლათ გადასცა საორგანიზაციო კოლეგიას.

პარტორგანიზაციის კავშირი საკონტროლო კომისიასთან.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება კავშირის გაძლიერების შესახებ საკონტროლო კომისიასთან; საკონტროლო კომისიასთან კავშირის დასამყარებლათ გამოყოფილი არიან ამხ. სვანიძე და ასრიბეკოვი. ამას გარდა საკონტროლო კომისიამ თავის მხრით უნდა გამოყოს წარმომადგენლები თბილისის კომიტეტში და მის რაიონულ კომიტეტებში.

პროფკავშირებში

კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი

ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ.

კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირმა, დაადგინა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ თბილისის ყველა თეატრებში და მუშათა კლუბებში გამართოს უფასო საღამოები.

პროლეტკულტმა ყველა კლუბებისათვის ხუთი დღის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს სათანადო რეპერტუარი, რომელიც განაწილებული იქნება კლუბების გამგეების თათბირზე კულტგანყოფილებათა გამგეებთან ერთად, სამშაბათს 13 ნოემბერს.

საღამოების ჩამტარებელი კომისია.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავ დღის გამართვის სახელმძღვანელოთ არჩეული იქნა ტეხნიკური კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: სარქისოვი, შესტოვი ბობოხიძე, სარაბიანი, რეინინბერგი და მდივანი თამარ უზნაძე.

მთავარ კლუბებში და თეატრებში ბილეთების განაწილება თათბირმა დაავალა ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას, რომელსაც უნდა გადაეცეს საბილეთო წიგნაკები.

ა.-კ. სტატისტიკოსთა თათბირი

16 იანვრის სხდომა

სახელმწიფ. სტატისტიკის საორგანიზაციო თეზისების განხილვა

16 იანვრის სხდომაზე სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამხ. გრიგორიანის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციის შესახებ წარმოდგენილ თეზისების გარშემო

ამხ. რუხაძე არ ეთანხმება მომხსენებელს იმაში, რომ ა. | კ. ცენტრ. სტატ. სამმართველო დარჩეს გაერთიანებული სახალხო კომისარიატის უფლებამოსილ ორგანოთ; მისი აზრით სამმართველო უნდა იქნეს სადირექტივო ცენტრალური დაწესებულება. იგივე ოპონენტი ეხება შტატის და ხელფასის საკითხებს, და მოითხოვს, რომ შტატით და ხელფასით ერთგვარად იქნენ უზრუნველყოფილნი, როგორც ა. | კ. ცენტ. სამმართველოები, ისე რესპუბლიკის და მაზრის სტატისტ. ორგანოები.

ამხ. რუხაძე იცავს აგრეთვე სათემო სტატისტიკის საჭიროებას.

ამხ. სმირნოვის აზრით ა. | კ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველო უნდა მოეწყოს როგორც გაერთიანებული კომისარიატის, ისე სადირექტივო ორგანოს პრინციპზე. ორატორის აზრით, სამაზრო სტატბიუროში მანამდე ვერ შესძლებენ პირველი მასალების დამუშავებას, სანამდე ისინი უზრუნველყოფილნი არ იქნებიან გაწვრთნილი სტატისტიკოსთა სათანადო კადრით.

ამხ. ფანცხავა ასაბუთებს სათემო სტატისტიკის მოწყობის აუცილებლობას.

ამხ. გონჩაროვის აზრით ზედმეტია იმ საკითხის გარჩევა, თუ რა ხასიათის ორგანო უნდა იქნეს ა. | კ. ცენტ. სტატ. სამმართველო, რადგან მის ფუნქციებს და დანიშნულებას განსაზღვრავენ სტატისტიკური მუშაობის ხასიათი და ის კანონები, რომლის ფარგლებშიაც უხდებათ მოქმედება ცალკე რესპუბლიკის სახ. კომისარიატებს.

ამხ. გონჩაროვს ფინანსიური და აგრეთვე სხვა მოსაზრებითაც მიზანშეუფერებლად მიაჩნია სათემო სტატისტიკის ორგანიზაცია.

კამათში მონაწილეობენ აგრეთვე ამხ. ამხ. ფანცხავა, ლივნოგოროდცევი, კარბელაშვილი, კრუგლიკოვი, ფირცხალავა, ჩიგოგიძე, ავერბუხი და სხვა.

ოპონენტებს პასუხს აძლევს მომხსენებელი ამხ. გრიგორიანი.

ქრონიკა

მადლობა ცეცხლის მქრობელ რაზმს

თბ. აღმასკომის სახელით უცხადებ მადლობას ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროს ამხ. ბერიძეს და მის თანამშრომლებს ა. წ. 6 იანვარს ღამით, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გაჩენილ ცეცხლის სასწრაფოდ ჩასაქრობად თავგანწირულ და ენერგიულ ზომების მიღებისათვის.

აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

უქმეების განსაზღვრა

საქ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით მიმდინარე წელში გამოცხადებულია უქმეთ 14 დღე (2 და 3 იანვრის ჩათვლით). აქედან 6 რევოლიუციონური, 3 საზაფხულო დასასვენებელი დღე, 2 სარწმუნოებრივი, 1 ახალი წელი.

მებამბეობისათვის

ა. | კ. მებამბეობის კომიტეტმა დაადგინა საქ. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს გადასცეს სათანადო თანხა საქართველოში მებამბეობისათვის აგრო-დახმარების გასაძლიერებლათ და ბამბის მავნეებთან საბრძოლველათ.

უპატრონო ბავშვთა მოსავლელათ

ა-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა-კ. ფინსახკომს გადასდოს 50,000 მან. საქ. სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებაში, საქართველოში უპატრონო ბავშთა მოსავლელათ და დასახმარებლათ.

— **სამკელი მანქანები.** ა—კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთ შეიძინა 200 ცალი სამკელი მანქანა.

— **საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა გეგმა საზოგადო სახის სამუშაოების წარმოების შესახებ.

— **მოზარდ უმუშევართა სახლისათვის.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე მოზარდ უმუშევართა სახლისათვის 5000 მან. გადადების შესახებ.

— **შრომის ბირჟის კომიტეტი.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა შრომის ბირჟის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ლინინი, პრეობრაჟენსკი, კარბელაშვილი, ცილიანოვი, ვაშაკიძე, მიკირტუმოვი, გარიბოვი, სანიკოვსკი, ეროგინი და ხუციევი.

— **„ლენინის საათი სკოლებში".** გამოვიდა წიგნი: „ლენინის საათი სკოლებში" ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად. წიგნში მოთავსებულია ავტორთა ნაწარმოებნი ლენინის შესახებ, ლექსები ნათარგმნია სიხარულიძის, ხოლო პროზა — ი. ნ—ისა. წიგნი აგრეთვე გამოიცა სომხურ ენაზე. ა/კ. სახ. გამომცემლობის გამოცემა.

— უმ. სახ. მეურ. საბჭოს ტყავის ქარხანამ № 1 დეკემბერში დაამზადა 66,940 მან. ტყავეულობა.

შემთხვევები

ელ. ციციშვილის გარდაცვალება.

გუშინ ჩვენს გაზეთში იყო ცნობა ელისაბედ ციციშვილის დაჭრისა და მის დამჭრელ ერასტო შაქრიშვილის თვითმკვლელობის შესახებ. მძიმედ დაჭრილი ციციშვილის ქალი დაუყონებლივ გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც მას აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება. ციციშვილის ქალი აღმოჩნდა მძიმედ დაჭრილი შაქრიშვილისაგან ვასროლილ სამი ტყვიით. ოპერაციის დროს არ მოხერხდა ტყვიების სხეულიდან ამოღება. დაჭრილმა ქალმა ძლივს იცოცხლა დილის 5 საათამდე, რის შემდეგ საშინელი წამებით გარდაიცვალა.

— **გაძარცვა.** 15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სად. 6 ვთლულის მახლობლად მოქ. ასალტურა ბაბაჯიან ს მცხ. სოფ. ყარაკაფასში (ერევნის გუბერნია) დახვდა სამი ბოროტმოქმედი და წაართვეს 27 არშინი ბამბაზია, 23 არშინი ჩითი, 2 ნაჭ. რძ. ტყავ. 5 გირვანქა პური, 2 ლამპა, ღირებული სულ 40 მან.

— **ქალის გატაცების განზრახვა.** 14 იანვარს, ღამით ს. პაპუნას (ქუთაისის მაზრა) თემის თავს დაესხნენ შეიარაღებულნი ბოროტმოქმედები ადგილობრივ მცხოვრებ გიორგაძეს ქალის მოტაცების მიზნით. წინააღმდეგობის გაწევის დროს მოკლული იქნა ქალის მამა. ერთი თავდამსხმელთაგანი ყოფილა ცნობილი ბანდიტი ალექსანდრე გიორგაძე.

— **დაკარგვა.** 15 იანვარს, დილის 10 საათზე, გამოვიდა ბინიდან ელენე სოლომონის ასული რამაზაშვილისა (მცხოვრები კამოვის ქუჩაზე № 51). რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ აცნობონ „ზარია ვოსტოკას" სტამბაში, თედორე რამაზაშვილს.

ხელოვნება

— **„შპიგელმენი".** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება — „შპიგელმენი".

— **„ტარდში"** დღეს წარმოდგენილი იქნება ო'ნილის პიესა — „ანნა კრისტი", ვოლხოვსკაიას მონაწილეობით.

— **„დუროვის რკინის გზა".** დღეს, ცირკში განმეორებით წარმოდგენილი იქნება „დუროვის რკინის გზა".

— **სახელმწიფო ოპერაში** დღეს, წარმოდგენილი იქნება „კარმენი", მახინოვის ქალის ე. ქ. ბორონკინას მონაწილეობით.

დღეს კინოებში:

— თვითმფრინავი — „პასიშა"
— მინიონი — „სიკვდილის მხარეში"
— ოაზისი — „სარამის ძიბი".

მუშათა ცხოვრება

სენაკის მექანიკური სახელოსნო.

(ჩვენი სენაკის მუშკორისაგან)

სენაკის ადგილობრივი მეურნეობის განყ. აქვს მოწყობილი ქ. სენაკში მექანიკური სახელოსნო. სახელოსნოში 5 მუშა მუშაობს. საჭიროების დროს მუშათა რიცხვი შვიდამდის ადის. სახელოსნო მუშაობს საჭიროების დროს. სამრეწველო ხასიათი მას არა აქვს. სახელოსნოში აკეთებენ ხიდების, ელსადგურის, ხერხისა, მისი მოწყობილობისა და სხვა ამ დაგვარი რემონტებს. სახელოსნო იღებს დაკვეთას ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საჭიროებისათვის სხვადასხვა მასალების და ნაწილების დამზადებისას.

სახელოსნოს მუშები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან და ქარხნის ადმინისტრაციასთან ჯერჯერობით არავითარ კონფლიქტს ადგილი არ ქონია.

ინფ. უჩა.

მოგვაქციეთ ყურადღება

(საბინაო კოოპერატივის საყურადღებოდ).

15 დღის წინედ ალექსანდროვის ქუჩაზე სახლი № 28, გაიყინა წყლის მილები, რის შემდეგ მილები გასკდა და მდგმურები უწყლოდ დავრჩით. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, როგორც იქნა, საბინაო კოოპერატივმა გამოგზავნა მილების შემკეთებელი, მაგრამ მეორე და მესამე სართულზე მდგომი მდგმურები მაინც გაჭირვებას განიცდიან, ვინაიდან კრანები გაყინულია და წყალი შეჩერებულია.

რაც შეეხება პირველ სართულს იქაც არ მოდის სისტემატიურათ წყალი. საჭიროა საბინაო კოოპერატივმა მიიღოს სათანადო ზომები წყლის გამოსაშვებად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე სართულის მდგმურები დიდ გაჭირვებას განიცდიან ფეხსალაგის უქონლობის გამო. ათი დღეა, რაც ფეხსალაგი გაფუჭებულია და დაკეტილია და მას პატრონი არავინ ყავს. მოგვაქციეთ ყურადღება.

ინფ. ელიზბარ.

კიდევ სამიკიტნო

(ქ. მილიციის საყურადღებოდ)

ლიუტერანის შესახ. № 37-ში საკუთარ სახლში ვანო თოზაშვილს აქვს სამიკიტნო. თუმცა აკრძალულია სამიკიტნოებში ღვინისა და მაგარ სასმელების ვაჭრობა, მაგრამ აქ ძალიან სცდილობენ ამების ბლომად გასაღებას. ამ უბნისათვის ეს მიკიტანი თავის სამიკიტნოთი მაზარმალებელი და დამღუპველია.

საჭიროა სწავლა-განათლება და არა ღვინის და ფულების ფლანგვა.

ადგილობრივი მუშა.

მბეჭდავების მუშათა კლუბში

13 იანვარს მბეჭდავთა კლუბში დაიდგა საღამო-წარმოდგენით საშაგიპკორის სახელობის ბავშვთა ორგანიზაციის კოლექტივის სასარგებლოდ. საღამო მოაწყო ამავე ბავშვთა კოლექტივის ინსტრუქტორმა ამხ. კობახიძემ. დადგმული იქნა „არსენა ყაჩაღი" ადგილობრივი ახალგაზრდათა სცენის მოყვარეების მიერ. ამავე კოლექტივის პიონერების მიერ ნაჩვენები იქნა თავისუფალი ვარჯიშობა და პირამიდები. პიონერებმა დასდგეს აგრეთვე პატარა ინსცინირობა და წაიკითხეს კუპლეტები მოთამაშენი დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

მუშკორი **ვ—ია.**

ფაბრიკა-ქარხნებში

ამხ. ხოჯალის სახელობის ავტოსახელოსნო.

აქ სამუშაოს შემცირების გამო 10 იანვარს მოხდა შტატის შემცირება, რომელშიაც მოჰყვა 25 მუშა.

ნაწილი მუშებისა გადაყვანილ იქნენ და განაწილებული სალითონო განყოფილების სხვა წარმოებებში.

შემცირებაში მოყოლილი მუშებიც დაკმაყოფილებულ იქნენ სალიკვიდაციო ფულით და აგრეთვე ფულად მიეცათ კუთვნილი სპეცტანისამოსისთვის და საპნისთვის.

წარმოება. უმთავრესად ქარხანაში აწარმოებს ავტორემონტები, როგორც მძიმე ხასიათისა, ისე წვრილმანი.

შემოღებულია ნარდი სამუშაოს სისტემა. სახელოსნოში გატარებულია მუშაობის ნარდი სისტემა, რომლის მეოხებითაც თვითეული მუშის ხელფასი აღწევს 100 მანეთამდე თვეში.

ინფ. კ—ძე.

ახალი თამბაქოს ფაბრიკა

კაპიტალური რემონტის შემდეგ, ამ ოთხი თვის წინად კვლავ დაიწყო მუშაობა კ. მარქსის სახელობის №-4 თამბაქოს ფაბრიკამ. ფაბრიკის განყოფილებები დაცილებულია ერთიმეორისთან ტიხრებით და ისეთ განყოფილებებში, სადაც მეტი მტვრიანი საქმეა, - მუშები ღებულობენ რძეს. ამ გარემოებას ადრე ადგილი არ ჰქონია, განყოფილებები გაერთიანებული იყო და მუშებიც განუწყვეტლად „იკვებებოდნენ" მტვრით.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობაში საკმაოდ არის დაცული სისუფთავე.

წარმოება.

ფაბრიკა აწარმოებს ოთხი ხარისხის პაპიროსს თვიურად დაახლოვებით 13—15.000.000 ცალამდე და 8—12.000 გირვანქა თამბაქოს დამზადებას. ამჟამად ამ წარმოებისათვის მუშაობენ ათი საგილზე, ათი გილზების თამბაქოთი დასატენი და სამი თამბაქოს დასაჭრელი მანქანები. მანქანების ეს რაოდენობა მანქანებისა ჯერ-ჯერობით წარმოებას სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ წარმოების აწევის დროს გაშვებული იქნება მარაგში მყოფი მანქანები.

მანქანები მოძრაობაში მოჰყავს ელექტრონის მამოძრავებელს, ყველა ზემო აღნიშნული მანქანები და ეს მამოძრავებელიც, როგორც ახლად შეკეთებულნი სამაგალითოდ მუშაობენ და სავსებით აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს.

მუშა-მოსამსახურენი

ფაბრიკაში ირიცხება 119 მუშა-მოსამსახურე; ამ მოკლე ხანში შტატი განზრახულია გაზარდოს 15 კაცით. საერთოდ მუშების მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათი საშუალო ხელფასი უდრის 35 მანეთს, ეძლევათ სპეცტანისამოსი, საპონი, რომლების წესიერი მიღებით მუშები კმაყოფილნი არიან. ნაკლად აქ უნდა ჩაითვალოს ტანისამოსის შკაფების უქონლობა.

კულტ-მუშაობა.

როგორც ახლად გახსნილ ფაბრიკაში კულტ-მუშაობა არ არის მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი. ბევრი რამ აკლია. მაგრამ, იმედია, მალე გაჩაღდება მუშაობა ამ სფეროშიც, ვინაიდან დაარსებული ამ საქმისა ცხოველია, ეწყობა სხვადასხვა წრეები, იწერენ გაზეთებს, რომელთა რაოდენობა ამჟამად უდრის 85 ეგზემპლიარს. აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ არის მიღებული ზომები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კულტ მუშაობა ფაბრიკაში ამ მოკლე ხანში სასურველ დონეს მიაღწევს, რადგან თვით მუშები იჩენენ ამ მხრივ დიდ ინტერესს და აქტივობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკაში, როგორც წარმოებას, ისე კულტ-მუშაობას მაგარი საფუძველი აქვთ ჩაყრილი და ახლო მომავალში იგი ამოუდგება გვერდში უკვე მიხეილს და ხერხემალ მაგარ თამბაქოს ფაბრიკებს.

ტონკა.

სიმართლეს სწერენ ჩვენი მუშები

(პროკურატურის პასუხი)

ამით გაცნობებთ, რომ თქვენს გაზეთს № 277 1924 წ. დეკემბ. მოთავსებული წერილი სათაურით: „მოგვაშორეთ ექიმაშვები", დადასტურდა და „ექიმ. ბეჟას" რევიზიის საქმე გადაეცა გამომძიებელს წინასწარ გამოძიების მოსახდენად ს. ს. კ. 152 მუხ. გათვალისწინებულ ბოროტმოქმედების ნიშნების მიხედვით.

აღმ. საქ. პროკურორის მაგიერი **დადებულიძე.**

მდივანი **ხიზანიშვილი.**

იურიდიული რჩევა-დარიგება

(ამხ. მუშას და გლეხებს)

ჩვენს გაზეთს როგორც ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან, ისე პროვინციიდან ამხ. გლეხებისაგანაც მოსდის მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის შეკითხვები წმინდა იურიდიული ხასიათისა. ამ შეკითხვებში ისინი აღნიშნავენ რა მთავრობის ამა თუ იმ დეკრეტის ან დადგენილების დარღვევის ან თავიანთ კანონიერ უფლებათა შელახვის ფაქტებს ჩადენილს ამა თუ იმ დაწესებულებათა ან პირთა მიერ, მოითხოვენ სათანადო იურიდიულ რჩევა-დარიგებას და გასაგები ენით დეკრეტების და დადგენილებების ახსნა-განმარტებას.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია უწევს რა ანგარიშს მშრომელთა მასის ამ კანონიერ მოთხოვნილებას, ხსნის „კომუნისტი"-ს ფურცლებზე განსაკუთრებულ განყოფილებას „იურიდიული რჩევა-დარიგების" სახელწოდებით.

მოუწოდებთ ყველა მუშებს და გლეხებს, ვისაც ამის საჭიროება ექნება, მოგვმართონ სათანადო შეკითხვებით უფასო იურიდიული რჩევა-დარიგების მისაღებად.

რედაქცია.

შეკითხვა:

ვმსახურობ თბ. რკ. გზ. მეორე საბავშო ქირაში. ჯამაგირს ვიღებ 14 მანეთს და ვარ პროფკავშირის წევრიც. ოთახის უქონლობის გამო თავი შევაფარე ამხ. ს. მუსიევთან მაგისტრალის ქ. № 19. ხსენებულ სახლში მოთავსებულია რკ. გზ. მესამე „კერა" და მასთან სცხოვრობენ კიდევ გარეშე მდგმურები, რომელთაც ამ კერასთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ. მთლიანათ ეს სახლი ეკუთვნის ფეეშოვს, რომელიც იქვე სცხოვრობს. ამ სახლში გადმოველი უკვე ერთ წელიწადზე მეტია და ვარ კიდევაც ჩაწერილი საბინაო წიგნშიც. მე და ხსენებულ მუსიევს გვეჭირა ერთი ოთახი სივრცით 36 კვ. არშინი და ვიხდიდით ბინის ქირას. ამხ. მუსიევი ამ ოთახიდან გადავიდა 1924 წ. 12 დეკემბერს და ამ ოთახში დავრჩი მარტო მე. ამხ. მუსიევის წასვლის შემდეგ მივმართე სახლის პატრონს, რომ აეღო ჩემგან კუთვნილი ბინის ქირა ჯამაგირის მიხედვით, მაგრამ სახლის პატრონმა ფეეშოვმა ეს ჩემი ფული არ მიიღო, რადგან ეცოტავა და თანაც გამომიცხადა: „თუ მომცემ თვეში 10 მანეთს — დაგტოვებ, თუ არა უნდა დამიცალო, რადგან ბინაში მაძლევენ 10 მანეთსო".

გთხოვთ გამაგებინოთ: აქვს უფლება თუ არა სახლის პატრონს — დამაცლევინოს — ოთახი და ამასთან რამდენი ერგება ჩემგან სახლის პატრონს — ოთახის ქირა.

რკ. გზ. მეორე კერის დამლაგებელი **მარიამ გერმანოზაშვილი.**

პასუხი.

ბინის ქირად თვიურად იხდით შვიდ კაპიკს ა. წ. პირველ იანვრამდის; სახლის პატრონს არა აქვს უფლება გამოგასახლონ ბინიდან, თუ კი თქვენ ბინის ქირას დროზე აწვდით მას (არა უგვიანეს ერთი თვისა). თუ სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ მიიღებს, მოწმეები თანდაისწარით და ფული შეიტანეთ თბ. ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში.

შეკითხვა:

მე ვცხოვრობ საბურთალოზე (ყოფილი მე-13 რაიონი) მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 50 კვად. არშინი. ვართ 4 სული, არსად არ ვმსახურობ ვარ უმუშევარი და კავშირის წევრი. გთხოვთ განმარტებას, რამდენი უნდა გადავიხადო ქირა ყოველ თვიურად.

მთხოვნელი: **მურმანიშვილი.**

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით ა. წ. პირველ იანვრამდის ორ შაურს.

(იხ. ქ. საბჭოს დადგ. № 42-ში გამოქვეყნებულია „კომუნისტ"ში № 75 (970) 1924 წ. 3 აპრ.)

შეკითხვა:

ანასტასიევის ქ. № 13-ში ვცხოვრობთ 5 სული ყველა მოზრდილნი. მიჭირავს ბინა 94 კვად. არშინიანი. აქ სახლკომად არის ვინმე ხაფაროვი. მან მოინდომა ჩვენთვის ერთი მოზრდილი ოთახის ჩამორთმევა თავის საცხოვრებლად. მაგრამ არსებული წესების თანახმად ეს მისთვის შეუძლებელი შეიქნა, გადაგვეკიდა მას შემდეგ და მოსვენებას აღარ გვაძლევს. ყოველ ღონისძიებას ხმარობს შეგვავიწროვოს, ჩამოგვართვას პატარა ოთახი მაინც. მუდამ დღე გვიყვირის და იგინება უშვერი სიტყვებით.

გთხოვთ დაგვაყენოთ გარკვეულ გზაზე და განგვიმარტოთ, თუ რამდენი კვადრ. არშინიანი საცხოვრებელი ბინა დაკანონებულია თითოეულ მდგმურებზე და ყველასთვის ეს საბინაო მინიმუმი საკალდებულოა თუ არა? შეუძლიან თუ არა სახლის პატრონს ჩვენ ბინაზე შემჭიდროება მოახდინოს და ვის მივმართოთ უხეშის სახლის პატრონის ასალაგმავად.

ვლ. ჩარხიანი.

პასუხი:

საბინაო საცხოვრებელ მინიმუმად თითოეულ მდგმურზე თანახმად თბ. ქალ. აღმასკომის დადგენილებისა ა. წ. პირველ იანვრიდან დაწესებულია 20 კვადრატიული არშინი. (იხ. „კომუნისტი" № 284—1924 წ. 12 დეკ.) ეს მინიმუმი ყველასთვის სავალდებულოა. პირადად თქვენ შემჭიდროება არ გეხებათ, რადგან ცხოვრობთ ხუთი სული იმისთანა ბინაზე, რომლის საცხოვრებელი მოედანი არ აღემატება დაწესებულ ნორმას.

სახლის პატრონის ასალაგმავად მიმართეთ სახალხო სასამართლოს და მილიციას.

შეკითხვა:

მე ვცხოვრობ საბურთალოზე მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 50 კვად. არშინი. ვართ 2 სული. არსად არ ვმსახურობ, ვარ ქვრივი, არსაიდან ცხოვრების სახსარი არ მაქვს. ჩემი ქმარი მსახურობდა წითელ ჯარში. დღემდისინ ვიხდიდი ქირად ერთ მანეთს. ვსარგებლობდი სამზარეულოთაც. ამ ჟამად სამზარეულო ჩამომართვა სახლის პატრონმა და ბინის ქირად თვიურად მთხოვს ხუთ მანეთს.

გთხოვთ განმარტებას, რამდე უნდა გადავიხადო ქირა, როგორც ყოფილი საბჭოთა მოსამსახურის ცოლმა.

ხოფერო ხიანაიძე.

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად ა. წ. პირველ იანვრამდის თქვენ გადაგხვდებათ **ორი შაური.** (იხ. ქ. საბჭოს დადგ. № 42).

შეკითხვა:

მე ვცხოვრობ სამტრედიაში მიჭირავს ორი ოთახი თავის სამზარეულოთი, რომლის მოედანი 96 კვადრატიულ არშინს უდრის. ვმუშაობ სამტრედიის წარმოკავშირის განყოფილებაში. ვღებულობ შრომის ხელფასს თვეში მე-12 სატარიფო ხარისხით. გთხოვთ განმარტებას რამდენი უნდა მიუზღო სახლის პატრონს ბინის ქირად ყოველთვიურად.

ხტეფანე ნებიერიძე.

პასუხი:

მიმართეთ ქალ. სამტრედიის აღმასკომს, რომლის კომპეტენციაში შედის ბინის ქირის დაწესება ადგილობრივად.

პროვინციაში

სატყეო ტრესტი წყალდიდობის მოლოდინში

ფოთი

1925 წლის 8 იანვარს ფოთში შესდგა ხუთეული მოსალოდნელ წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხუთეულმა გასცა სათანადო განკარგულება ყველა დაწესებულებებისადმი საჭირო თადარიგის მიღების შესახებ.

გაცემულ იქნა განკარგულება რაიონის ადმინისტრაციის მიერ, რათა ყველა ნავები ყოფილიყო თავის ადგილას რომ მენავეები საჭიროების დროს გამოსულიყვნენ პირველ გამოძახილზე.

გაიცა განკარგულება რომ დამზადებული ხე-ტყის მასალები, ტრავერსები და მორები დაეწყოთ ისეთ ნაირად, რომ დაცული ყოფილიყო წყლის გატაცებისაგან, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი ქარხნების გამგის მიერ მუშა-მოსამსახურეების დახმარებით.

ამ მოლოდინში მყოფი ფოთის რაიონი ფხიზლად ელოდა წყალდიდობას. 10 იანვარს ღამის 9 საათზე მოხდა ქალაქში პანიკა იმის გამო, რომ მდ. რიონმა აიწია არა ჩვეულებრივ უცბად, დაახლოვებით 100 სანტიმეტრამდე, თან მოჰქონდა დიდძალი გორისებური ყინვები და ისეთი საზარელი ხმით მოდიოდა, რომ მცხოვრებლებს შიშს გვრიდა.

მიუხედავად მდ. რიონის ასეთი გადიდებისა წყალი ნაპირს არ გადმოსცილებია, მხოლოდ ხსენებულ რაიონს მაინც მიაყენა ზარალი. ფოთიდან მეშვიდე ვერსტზე სამი დიდი ნავი დაიზიანა, რამაც შეაფერხა ფოთისათვის დაჩქარებით შეშის მოწოდება; საჭირო შეიქნა შეშის გადმოტანა ქალადიდიდან რკინის გზის საშუალებით.

ფოთი მაინც არ არის უზრუნველყოფილი, წყალდიდობისაგან. წყალდიდობა მოსალოდნელია გაზაფხულის დასაწყისში. ამ თავიდანვე საჭიროა ზომების მიღება. აღძრულია შუამდგომლობა სადაც ჯერ არს საჭირო დამბების გასაკეთებლად.

ფა—ლი.

გლეხკომი ეხმარება ამბულატორიას

ყვარელი (თელავის მაზრა)

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ მადლობა გამოუცხადო ს. ყვარელის გლეხკომს იმ დროულ დახმარებისთვის 150 მანეთით, რომელიც მან აღმოუჩინა ყვარელის რაიონის ამბულატორიას. ამ ფულით შეძენილ იქნა უსაჭიროესი მედიკამენტები და შესახვევი მასალა ულარიბეს გლეხებისათვის. იმედი გვაქვს, რომ ყვარელის გლეხკომი შემდეგშიაც შეძლებისდაგვარად გაუწევს დახმარებას ყვარელის ღარიბ ამბულატორიას.

ს. ყვარელის საექიმო პუნქტის გამგე ექიმი **ალექსანდრე სეფაშვილი.**

მიეცით სკოლას შენობა

ს. ხიზაბავრა (ახალქალაქის მაზრა)

სოფელ ხიზაბავრაში (ახალქალაქის მაზრა) წელს დაარსებულ იქნა 7 წლედი. სამწუხაროთ სასწავლებელს შენობა არ მოეპოვება. სასწავლებლის შენობა იმსხვერპლა ოსმალთა შემოსევამ 1918 წელში. გლეხებს კი მისი შეკეთება არ შეუძლიათ; მოწაფეებს ჯავახეთში ციმბირისებურს ზამთარში კარებს და ფანჯარაჩამტვრეულს შენობაში უხდებათ მეცადინეობა.

არის ყოფილი საეკლესიო შენობა, რომელიც მთავრობის დეკრეტით გამოცხადებულია სახელმწიფო ქონებათ. ამ შენობაში სულ ადვილათ შეიძლება მოთავსდეს სასწავლებელი: ხსენებული შენობა შესდგება ექვსი საუკეთესო ოთახიდან. ამ სახალხო შენობაში სცხოვრობს მღვდელი, რომელიც მგზავრს შემთხვევით გარეთ დარჩენილს თუ არ მოეწონა მისი ფიზიონომია, თავს არც კი შეაფარებინებს.

რატომ სათანადო ორგანო არ გამოაბრძანებს ამ ვაჟბატონს სახელმწიფო შენობიდან? მას უკანონოთ უჭირავს ექვსი ოთახი და სახალხო მასწავლებელი კი ბინის უქონლობის გამო შორი სოფლიდან დაიარება ცივს ზამთარში, რაც აფერხებს მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას.

საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიექცეს და სახალხო სახლი ჩამოერთვას მას და მოხმარდეს სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს როგორიცაა ქოხ სამკითხველო, კლუბი და სხვა. „სულიერმა მამამ" აგრეთვე ხელი უნდა აიღოს სახელმწიფო ფონდში გადასულ ბაღით სარგებლობაზე, და დროა მოეღოს ბოლო მის უკანონო მოქმედებას.

ფანი.

გორის დაზარალება ყინვისაგან

არაჩვეულებრივმა თოვლმა და საშინელმა ყინვებმა აუარებელი ზარალი მისცეს გორის მაზრას. თოვლი ზოგ ადგილას არშინ ნახევარი მოვიდა, ყინვა კიდევ თვით გორში 25 გრადუსამდეა. ხანში შესულები და ძალზედ მოხუცებულები ამბობენ, რომ ამგვარ ყინვების მომსწრენი არა ვართო; ხალხი რა საკვირველია სრულიად მოუმზადებელი დახვდა ასეთ მკაცრ ზამთარს, ზოგს შეშა არ ჰქონდა დამზადებული, ზოგს კიდევ სახლკარი გაპარტახებული და ამიტომ მათ დიდი ზარალი მისცა ამ არაჩვეულებრივმა ყინვებმა, ზოგი გაიყინა ზოგი გაცივდა, მაგრამ ყველაზედ დიდი ზარალი მისცა იმ რაიონებს, სადაც ხეხილის მოყვანას მისდევენ. მოგეხსენებათ, რომ გორის მაზრა ხილით არის განთქმული და განსაკუთრებით საუკეთესო ევროპიული ჯიშის ვაშლით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხკაცის მეურნეობაში. საექსპორტოთ დანიშნული ვაშლი გადის მაზრიდან ზამთრის თვეებში იანვარ-თებერვალში, ამიტომ ხილის უდიდესი ნაწილი ჯერ ისევ ადგილობრივ იყო შენახული, რომლისთვისაც განსაკუთრებული ამგვარი ყინვებისაგან უზრუნველმყოფელი საწყობები არა ჰქონდათ მოწყობილი, განსაკუთრებით სოფლად. ამიტომ ამ არაჩვეულებრივმა ყინვამ დიდათ დააზარალა მეხილენი, ბევრ ადგილას მთლად გაჰყინა მთელი მარაგი ვაშლისა, ზოგან ნაწილობრივ. ამხანაგობა „ლიახვს" გაუქრა და გაუფუჭდა 20 პროც. მთელი შენახული ვაშლის, კომუნალურ ბანკს ს. კარალეთში ერთი მესამედი დამზადებული ხილისა, წარმოკავშირს 200 ფუთი სოფ. ბრეთში. გორის აღმასკომმა ზარალის საბოლოო და დაწვრილებით გამოსარკვევად დაუგზავნა მაზრის ყველა მეხილეთა ამხანაგობებს საანკეტო ფურცლები, რომლებში აღნიშნული უნდა იყვეს ხილისა და ყოველივე საცურატო მარაგის რაოდენობა, რომელიც კი წახდა ყინვების გამო. ამ ცნობების მიღებისთანავე აშკარად იქნება, რა დიდი უბედურება ეწვია მეხილეთა ამხანაგობებს ამ ყინვების წყალობით.

შირინბეგ.

გარე-კახეთი

ექსკურსია სახელმწიფო ჯიშიან ცხენების სამოშენებლო ქარხანაში ს. მუხროვანში.

21 დეკემბერს, კვირას, გარე-კახეთის საბჭოთა დაწესებულებების მუშა მოსამსახურეთა პროფკავშირის გამგეობის ინიციატივით, მოეწყო მუშა მოსამსახურეთა ექსკურსია, ს. მუხროვანში, სახელმწიფო ჯიშიან ცხენების სამომშენებლო ქარხნის დასათვალიერებლად, ქარხნის გამგემ, ამხ. ბადუროვმა ექსკურსანტებს აუხსნა ცხენების დათვალიერების დროს ამა თუ იმ ცხენის ჯიშში და თვისებები და ის, თუ რომელი ცხენი რამდენს გადის საათში და როგორი მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. დათვალიერებულ ცხენთა შორის აღმოჩნდა ისეთი ცხენები, რომლებიც (გამგის გადმოცემით) საათში გადიან 60 ვერს. 6 თვის კვიცი მოგვაგონებდა ცხენს. ასეთი ცხენების დათვალიერებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსანტებზე. შემდეგ გარე-კახეთის საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ამხ. გრიშა კრავეიშვილმა მოიწვია მუხროვანის ცხენების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ექსკურსანტების შეერთებული კრება გაკეთებულ იქნა მოხსენებები: ამხ. ბადუროვის მიერ სახელმწიფოს ჯიშიან ცხენების სამომშენებლო ქარხნის მნიშვნელობაზე და ამოცანებზე.

შემდეგ ამხ. თალაკვაძემ გააკეთა მოხსენება ქარხნის მუშათა ადგილკომის მუშაობაზე.

კრება ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

მუშკორი **სამტრედიელი.**

პროვინციის ქრონიკა

დიდი თოვლი გორის მაზრაში.

გორის მაზრაში, როგორც ა.-კ. სხვა კუთხეებში ზამთარი დიდი. თოვლი დღითი-დღე მატულობს და შენობები საფრთხეშია ჩაყენებული. ადგილობრივმა მილიციამ მიიღო ზომები და ქალაქში აცმენდინებს გზებს და სახლების სახურავებს. არის შემთხვევები მაზრაში, რომ თოვლის სიმძიმის გამო დანგრეულია სახლები.

შიბ.

— **ავტომობილებით მიმოსვლა.** სოხუმისა და ახალ-სენაკს შორის დაწყებული საავტომობილო მიმოსვლა სასურველათ მოეწყო. ავტომობილი 8 მგზავრით ახალ-სენაკში ჩამოსვლას მოუნდა 10 საათი. მგზავრობა ღირს 12 მ. და 50 კ.

— **საქონლის საექიმოთ.** გორის აღმასკომმა დაადგინა შტატს გარეშე დამატებით მიიღოს კიდევ ერთი საქონლის ფერშალი, რომელიც მუდმივათ ივლის სოფლებში საქონლის საექიმოთ.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა მოსკოვში გაგზავნილ ხილიდან აღებულ ფულად შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **ზესტაფონის** აღმასკომმა დაადგინა გააუქმოს სადგურის პირდაპირ ყველა კერძო სამიკიტნოები და მათ მაგიერ გახსნას კოოპერატიული სასადილოები.

— **თეატრი ოზურგეთში.** ოზურგეთის თეატრში სისტემატიურათ იმართება წარმოდგენები. წარმოდგენებს ხალხი ბლომათ ესწრება.

— **გორის მეხილეთა** კოოპერატიულმა საზოგადოებამ „წითელ ქართლმა" დაურიგა გლეხებს 2.000 მან. შესყიდულ ხილის ანგარიშში.

— **მეფუტკრეთა ამხანაგობა.** სოფ. აცანაში (ოზურგ. მაზრა) წარმოკავშირის ინსტრუქტორ ამ. წულაძის ხელმძღვანელობით დაარსდა მეფუტკრეთა ამხანაგობა „შრომის სიტკბო".

— **სოფ. საცხენისში.** (გარე-კახეთი) ახალ სკოლის შენობის ასაგებათ ადგილობრივი ძალებით დაამზადეს საჭირო მასალა. აგებას შეუდგებიან გაზაფხულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 3

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოისა.

1925 წლის იანვრის 8.

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსდება განსაკუთრებული ფონდები—ამიერკავკასიისა და რესპუბლიკური (საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისა, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკისა და აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის)—ა. | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებულ ყველა ტრესტისა და სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მოგების პროცენტული ანარიცხიდან და აგრეთვე იმ პროცენტიდან, რაც მიღებულ იქნება ფონდების მიმდინარე ანგარიშზე მოთავსებით ან ამ ფონდების საპროცენტო ქაღალდებში მოთავსებით.

2. რაოდენობა იმ ანარიცხისა, რაც მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში გადადის, ყოველწლიურად განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორია ტრესტებისა და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ფინანსიური მდგომარეობა, შრომის ნაყოფიერება მუშათა რიცხობრივი შედგენილობა და სხვა პირობები, ხოლო აღნიშნული ანარიცხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წმინდა მოგების 10 პროც.

ანარიცხის რაოდენობა განისაზღვრება და გადარიცხვა მოხდება ბალანსების განხილვისა და სახელმწიფო საწარმოთა მოგების განაწილების წესით.

3. ანარიცხიდან მიღებული საერთო თანხა განაწილდება ყველა ფონდებ შორის თანხმად ა. | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისა.

4. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი მოხმარდება იმ ღონისძიებათ, რაც აღნიშნულია მე-5 მუხლში და რაც განხორციელებულ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

5. ფონდის სახსარი მოხმარდება: ა) საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებელ ხარჯს, როგორიც არის: ხარჯი მუშათა ბინების პირობების გაუმჯობესებისა, რემონტისა, აღმშენებლობისა და სხვ. ბ) კულტურულ-განმანათლებელი საჭიროების ხარჯს, როგორიც არის: სკოლების დამატებითი ხარჯი, ბიბლიოთეკებისა, სამკითხველოებისა, კლუბებისა და სხვ. შენახვა, სტიპენდიის მიცემა სასწავლებელში მივლინებული მუშებისთვის, ბავშვთა ბაგასათვის გაწეული ხარჯი და სხვ.; გ) მუშათა კვების გაუმჯობესების ხარჯი, როგორიც არის: ხარჯი სასადილოებისათვის, საჩაიებისათვის, მებოსტნეობის განვითარებისათვის და სხვ..

6. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოიყოფა განსაზღვრული ნაწილი, რაც გაცემულ იქნება გრძელვადიან შეღავათიან სესხად მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის საქმისათვის; დაბრუნებული სესხი და მისი პროცენტი გადადის მუშათა ბინების აღმშენებლობის ფონდში.

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან აღნიშნული მიზნისათვის გამოყოფილი ნაწილის რაოდენობა განისაზღვრება ა. | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და რესპუბლიკათა ეკონომიური საბჭოების მიერ—კუთვნილებისამებრ.

7. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების რესპუბლიკანური ფონდის თანხას დახარჯავს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ეკონომიური საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან. კომისია გამოიყენებს პროფ. კავშირთა საბჭოს აპარატს.

8. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ამიერ-კავკასიის ფონდის თანხას დახარჯავს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება ა. | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, ა. | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ა. | კ. პროფ.-კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან.

9. ფონდის თანხა ინახება ერთ-ერთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში.

10. გადაირიცხება მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში დანიშნული 1923—1924 საბიუჯეტო წლიდან.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანაშემწის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 17 იანვარს, დილის 10 საათზე მოწვეულია ს. კომპარტიის **თბილ. კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

— მესამე რაიკომში ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგების მიერ მოცემულია განცხადება პარტიაში მიღებისა და კანდიდატობიდან წევრებათ გადარიცხვის შესახებ.

თუ ვისმეს რაიმე ცნობა მოეპოვება ამ ამხანაგების წინააღმდეგ, ვთხოვთ გვაცნობონ წერილობით რაიკომში ერთი კვირის განმავლობაში.

პარტიაში მისაღებნი:

რუსიევი ვანო, პეტრიაშვილი მარია, ფურცელაძე ილია, მელქონიან თომას, მელქონიან ვაგან, მაცკევიჩ ნიკოლოზ, პროშკინ პეტრე, მამულოვ გრიგოლ, ამბარცუმიან ხაჩატურ, ერზნკიან არუსიაკ, ეროშინა ანნა, ჰამარიან არშაკ, ბარხუდაროვ ისაკ, ლომთათიძე ჟაკი, არაჯანოვი ვაგრამ, მირზოევი გიორგი, რაგიმოვი რიზა, ქერაევ ალი, ალიევ გუსეინ მამედ-ოღლი, ნამედ-მახმუდ, ბაგიროვ ბაირამ, იზმაილოვ მამედ, ალი-ოღლი ნაბათ, ჯაბაროვ საფარ ალი, რიზაევ მამედ-ალი, სადიკოვ მამედ ოსმან-ოღლი, ასკეროვ გამეჯ ჯამალ-ოღლი, ბაბაევ აბულატ ასად-ოღლი.

წევრობაზე გადასარიცხნი: ჯავახიშვილი ვასილ, [illegible] თეოფილ, ხრისლაშვილი ივანე, ზუციევი რუბენ, [illegible] ვიქტორ, მანიშვილი სერგო, ზეიკოვსკი ლეონ, პეტროსიანი მიხეილ, ოჰანეზოვი ხერო, ელპკიანი ამაიაკ, ქუკოვი ივანე, ტორჩიანი არშენაკ, სარქისიანი ოჰანეს, სარქისიანი არმენაკ.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის საორგანიზაციო განაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს აუცილებლივ გამოცხადდენ ს. კ. პ. ც. კ. ს საორგანიზაციო განაწილებ. განყოფილებაში ა. წ. 18 იანვარს დილის 11 საათზე საქართველოში საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარების თათბირზე მონაწილეობის მისაღებად.

სია: 1. გასან-საბრი, 2. მიროტაძე ლევანი, 3. მეტრეველი. 4. ლომიძე ლუკა, 5. მოსე სირაძე, 6. ალექსანდრე ქუჯაია, 7. ჰერაპიონ ლომიძე, 8. ლობჟანიძე ლაშხი, 9. კობახიძე აკაკი. 10. ცაბაძე ლადიმერი, 11. ხუბულური დავით, 12. გრიგოლი მგალობლიშვილი, 13. ვალერიან სუფსისპირელი, 14. გრიგოლი ბუხნიკაშვილი, 15. ვასილი ქავტურია, 16. სამსონ ცინცაბაძე, 17. ონისიმე ცანავა, 18. კონსტანტინე ტოპაძე, 19. ალექსანდრე თაყაიშვილი, 20. კოსტანტ. სეხურია, 21. ლეონ აგაჯანოვი, 22. არშაკ მანუკარიანი, 23. კარაკაშ შევარშ, 24. ალექსანდრე მამულაშვილი, 25. ივანე მარდალეიშვილი.

საორგანიზაციო-განმან. განყ. გამგის მოადგილე ლიცინოვი.

— ლენინის ხსოვნის კვირეულის ჩასატარებლათ მობილიზაციაქმნილ მომხსენებლების საყურადღებოდ.

სააგიტ.-საპროპ. განყოფილება იუწყება: მასალებს მოხსენებისთვის „მუშაობა ულენინოთ წლის განმავლობაში" წარმოადგენენ: კამენევის სიტყვა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე („პრავდა" № 278). ძერჟინსკის სიტყვა უმაღ. სამეურ. საბჭოს თათბირზე („პრავდა" № 276). რიკოვის სიტყვა მასწავლებელთა საერთო საკავშირო ყრილობაზე. („ზარია ვოსტოკა" № 730).

სააგ.-საპროპ. განყოფილება.

ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

არსენალის რაიონში კვირეულის ჩატარების გეგმა

I

20—22 იანვარს არსრაიონის პარტუჯრედების კრებებზე ჩატარებულ უნდა იყვეს მოხსენება შემდეგ თემაზე: „ბრძოლა პარტიისა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ". ამ მოხსენების ჩასატარებლათ პარტუჯრედები დაყოფილ არიან შემდეგ ჯგუფებათ.

1. 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ჩოდრიშვილის კლუბში, მომხსენებელი ამხ. **სვანიძე.**

უჯრედები: ტრამვაისა, საქ. სახ. ვაჭრობისა, მესამე ქარხკომისა, ცეკავშირისა და მათთან მიწერილ სამხედრო ნაწილებისა.

2. 22 იანვარს, დღის 3 ნახ. საათზე, „26 სახელობის კლუბში" მომხსენებელი ამხ. [illegible].

უჯრედები: ავტო-სახელოსნო № 1, ავტო-სახელოსნო № 3, სპილენძის სატკეცი ქარხანა, თამბ. ფაბ. „პროლეტარი", თამბ. ფაბ „ლიუქსემბურგი", პროლეტკულტი და მასთან მიწერილი სამხედრო ნაწილები.

3. 22 იანვარს, დღის 3 ნახ. საათზე, არსენალის კლუბში, მომხსენებელი—ამხ. **სვანიძე.**

უჯრედები: არსენალი, ა | კ საგ. კომისიის სკოლა და მათთან მიწერილი სამხედრო ნაწილები.

4. 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბში მომხსენებელი ამხ. **სირკინი.**

უჯრედები: ელექტრონის მოხელენი, „ტრამოტა", წყალსადენის სახელოსნოები, მეტყავეები, მუშკოპი, ალექსანდრეს საავადმყოფო, მთავარი საავადმყოფო, ჯანმრთ. სახ. კომისარიატი, ს. უ. ს. საბჭო, მილიცია, „ზაკსოიუზი", სახ. ლენინის ტრესტი, ავტოწარმოება-ვაჭრობა, თერძები, მშენებლები და მათზედ მიწერილი სამხედრო ნაწილები.

5. 22 იანვარს, საღამოს 5 საათზე, სანიტ-ტეხნიკურ კლუბში მომხსენებელი ამხ. **შვარცი.**

უჯრედები: კოლოფების ფაბრიკა, სახერხი ქარხანა, დამზღვევი სალარო, სანიტ.-ტეხ.-ები და მათთან მიწერილი სამხედრო ნაწილები.

II

17—24 იანვარს ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში ჩატარებულ უნდა იყვეს მოხსენება შემდეგ თემაზე: „პარტიული და საბჭოთა მუშაობა ერთი წლის განმავლობაში ულენინოთ". მოხსენების ჩატარების წესი შემდეგია:

1. 17 იანვარს, დღის 1 საათზე, „26 სახელობის კლუბში". მომხ. ამხ. სვანიძე. უნდა დასწრონ: სპილენძის სატკეცი ქარხანა, ავტოსახელოსნოები № 1 და № 3, სალტებ-ღვედების ქარხანა.

2. 17 იანვარს, დღის 2 საათზე „ლუქსემბურგის" ფაბრიკაში, მომხ. ამხ. **მარია ორახელაშვილი.** დასწრ.: „ლუქსემბურგის" ფაბრიკა.

3. 17 იანვარს, დღის 2 საათზე „პროლეტარის" ფაბრიკაში, მომხ. ამხ. **სირკინი.** დამსწრე: ფაბ. „პროლეტარი".

4. 18 იანვარს, დილის 10 საათზე, კოლოფ. ქარხანაში. მომხ. ამხ. **ჯუღელი.** დამსწრე: „ტრამოტა", კოლოფების ფაბრიკა.

5. 17 იანვარს, საღამოს 4 საათზე. სახერხი ქარხნისათვის. მომხ. ამხ. **ნუცუბიძე**—ქარხანაშივე

6. მესამე საქარხ. კომიტეტი. 24 იან. დღის 4 საათ. მომხ. ამხ. იგნატოვი, ავჭალის აუდიტორიაში.

7. მთავარი საავადმყოფო, ალექსანდრეს საავადმყოფო და ფსიქიატრიული საავადმყოფო. 19 იან. საღამოს 6 ს. მომხ. ამხ. **მიქაძე,** მთავარ საავადმყოფოში.

8. ტრამვაი. 19 იანვ. საღამოს 6 ს. მომხ. ამხ. **სირკინი.** იქვე.

9. ელექტრონის მომუშავენი. 21 იან. საღამოს 4 ს. მომხ. ამხ. **ხვანიძე.** მეორე ელექტ. სადგურში.

10. არსენალი. 19 იან, დღის 3 ს. მომხ. ამხ. **კრუგლიკოვი.** იქვე.

11. სანტეხები. 19 იან. საღამოს 4 ს. მომხ. ამხ. **ამირალოვი.** სანტეხშივე.

12. სამკერვალო ფაბრიკა, 19 იან. საღამოს 4 ს. მომხ ამხ. **მეძმარიაშვილი.** იქავე.

13. წყალსადენის სახელოსნო. 10 იან. საღამოს 4 ს. მომხ. ამხ. **მამულაშვილი.** იქავე.

14. ქიმიური ქარხნები. 19 იან. დღის 3 ს. მომხსენებელი ამხ. **გავრიში.** იქავე.

15. მეტყავეები. 24 იან. საღამოს 6 ს. მომხ. ამხ. **ვარდანიანი.** ადგილკომში.

16. წყლის წისქვილები. 24 იან. საღამოს 4 ს. მომხ. ამხ. **შავერდოვი.** ადგილკომში.

17. სახ. ლენინის ტრესტი. 24 იან. საღამოს 4 ს. მომხ. ამხ. **ეგიკოვი.** მეექვსე ქარხანაში.

18. ცეკავშირი, 24 იან. დღის 3 ს. მომხ.—ამხ. **იერომაშვილი.** იქავე.

19. ჯანმრთ. სახ. კომისარიატი. 24 იან. საღამოს 6 ს. მომხ.—ამხ. **კვირკველია.** იქავე.

20. დამზღვევი სალარო. 21 იან. დღის 3 საათ. მომხ.—ამხ. **მიქაძე.** იქავე.

21. მუშკოპი. 24 იან. საღამოს 6 საათ. მომხ.—ამხ. **ნაზაროვი.** მუშკოპშივე.

22. „ზაკსოიუზი". 21 იან. დღის 3 საათ. მომხ.—ამხ. [illegible]. იქავე.

23. საქ. სახელმწ. ვაჭრობა. 18 იან. დღის 11 საათზე, მომხ.—ამხ. **თავზარაძე,** იქავე.

24. საქ. მეურ. უმ. საბჭო. 24 იან. დღის 3 საათ. მომხ.—ამხ. [illegible]. იქავე.

25. შინამრეწველობა. 21 იან. საღამოს 5 საათ. მომხ. ამხ. **მეთონიძე,** იქავე.

26. ა | კ. საგ. კომ. სკოლა. 24 იან. საღამოს 5 ს. მომხ.—ამხ. **ათარბეგოვი.** სკოლაშივე.

27. აღმშენებლები. 21 იან. საღამოს 5 საათ. მომხ.—ამხ. **ნაზაროვი.** ადგილკომში.

28. პროლეტკულტი და სახ. კინომრეწველობა. 24 იან. დღის 3 ნახ. საათ. მომხ.—ამხ. **ივანიანი.** სახ. [illegible].

29. მილიცია. 21 იან. საღამოს 5 საათ. მომხ.—ამხ. **მთიზონიძე.** მილიციის მეცხრე რაიონში.

III

სკოლებში და ტეხნიკუმებში უნდა ჩატარდეს მოხსენებანი—„ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინისა" შემდეგის წესით:

1. გერმ. ტეხნიკუმი. 19 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **ბერზევიცისა,** ტეხნიკუმშივე.

2. პოლიტეხ. სასწავლებელი 18 იან. დილის 10 ს. მოხ.—ამხ. **მამულაიშვილისა.** იქავე.

3. სასოფ.-სამეურ. ტეხნიკუმი. 20 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **მეძმარიაშვილისა.** იქავე.

4. პირველი ქიმ. ტეხნიკუმი. 19 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **ნუცუბიძისა.** იქავე.

5. საერთო განათ. კურსები. 20 იან. საღამოს 8 ს. მოხ.—ამხ. **მარია ორახელაშვილისა.** კამოს ქ. 59.

6. შრომის მეორე სკოლა. 20 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **ჯუღელისა** კამოს ქუჩა 52.

7. შრომის მესამე სკოლა. 21 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **კვირიკაძისა** კამოს ქუჩა 91.

8. შრომის მეცხრე და მე-26-ე სკოლა, 21 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **მდივანისა.** ანდრიას ქ. 19.

9. შრომის 104 ე სკოლა. 19 იან. დღის 2 ს. მოხ.—ამხ. **ქელეხსაევისა** სურამისა და ბატარეის ქ. კუთხე.

10. შრომის 27-ე და 29-ე სკოლა 20 იან. დღის 1 ს. მოხ.—ამხ. **ბუხნიკაშვილისა.** კამოს ქ. 52.

11. შრომის 41-ე სკოლა. 21 იან. დღის 1 ს. მოხ.—ამხ. **გავრიშისა** კამოს ქუსა.

IV

19 იანვარს ერთიანი პარტიული დღე. პარტუჯრედების სხდომებზე მიღება პარტიის წევრებად გადარიცხვა და ახალ კანდიდატების მიღება.

V

19 იანვარს ერთიან პარტიულ დღეს მოწვეულ იქნება დელეგატთა კრება, სადაც უჯრედების მიერ გამოყოფილი ამხანაგები მიიღებიან კანდიდატებათ და კანდიდატები კი გადაირიცხებიან წევრებად.

VI

მთელი კვირის განმავლობაში ყველა პარტსკოლებსა და წრეებში ჩატარებულ უნდა იყვეს მოხსენებანი შემდეგ თემაზე: „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯებასთან" და „ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინისა".

VII

21 და 22 იანვარს კლუბებში უნდა გაიმართონ მოსაგონებელი საღამოები.

VIII

კვირეულის განმავლობაში საშეფო კომისიები მიემგზავრებიან თავიანთ შეფობაზე აყვანილ სოფლებში, სადაც უნდა ჩაატარონ მოხსენებანი: „ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინისა" და „ლენინი და გლეხობა".

მომხსენებლები საგანგებოდ უნდა იყვნენ გამოყოფილი ყველა შეფების მიერ.

არსრაიკომის სააგ.-საპროპ. განყოფილება.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ქვრივ-ობლები: ნინო იოსების ასული გოდუაძისა შვილით; იოსებ დიმიტრის ძე და ივლიტე, ვლადიმერ, სოფიო, ქეთო, ვახტანგ, ლუარსაბ, ეკატერინე, თამარ, ირაკლი, ქენია და დიმიტრი ხელაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ორის: ქმრისა და მამის, ხოლო დანარჩენთა საყვარელი სიძის

ირაკლი გოდუაძის

გამოსვენება კვირას, 18 იანვარს, ქუთაისში, ჩუბინიძის ქუჩა.

ღრმა მწუხარებით გულდათუთქული მეუღლე ვლადიმერი, მამამთილი ესაია, დედამთილი ელპიდი, მულები: ზინა, სონია და საშა ბიჭაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მათი უსაყვარლესი და მუდმივ დაუვიწყარის: პირველის მეუღლის, დანარჩენების რძლის, კაკაბეთის შრომის სკოლის მასწავლებლის

მარიამ (ჯარა) აკაკი აველიანის ასულ ბიჭაშვილის

უდროოთ გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავათ ა | წ. 18 იანვარს გადახდილ იქნება სახალხო პანაშვიდი ადგილობრივ სასაფლაოზედ სოფ. კაკაბეთში (რაჭის მაზრა). № 115 1—1

ცოლი ცაცო დავითის ასული, შვილები ზინა და ელპიდა, სიძე ანტონი მაისურაძე, ძმა ილია, ძმის წულები იოსები და არისტარხი, რძლები: ლექსანდრინა, ეკატერინე და ქეთევანი ამით აუწყებენ ნაცნობს და მეგობრებს, რომ სახ. ქსენში ტრაგიკულად გადაცვლილ

მოსე გიორგის ძე კვინიკაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ვერის სასაფლაოზე ა | წ. 17 იანვარს, შაბათს 1 საათზე. № 114 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა: სტანისლავ მიხეილის ძე და ანნა ესტატეს ასული ციციშვილები, დები: ალისა კალანდაძისა, ბარბარე ბრეგაძისა და ელინე ლუკაშვილისა, ძმა მიშიკო ციციშვილი და სიძეები დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი, კონსტანტინე ბრეგაძე და ვანო კალანდაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 15 ამა თვეს ტრაგიკულად მოესპეს სიცოცხლე მათთვის ძვირფას

ლიზიკო ციციშვილს

გამოსვენება მიცვალებულისა მოხდება კვირას, 18 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან, დაკრძალვა იმავე დღის ნიკოლოზის სასაფლაოზე. № 117 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 17 იანვარს

კარმენ

მარონკინას მონაწილეობით ნ. № 633 5—4

სახელმწიფო დრამა

დღეს, 17 იანვარს

შპიგელმენშ

კვირას, 18 იანვარს

სინათლე

ნ. 651 1—1

სრულსაქინვალდამხმარკომი

ყველა დაწესებულებათა და სახლების მმართველობათა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ამხ.

ლენინის

გარდაცვალების წლის თავისთვის

მას აქვს დამზადებული ყოველგვარ ზომის სამგლოვიარო ბაირაღები (ფლაგები) ტარის ლითონის წვერით აგრეთვე არის ამხ.

ლენინის

და რევოლიუციის სხვა მოღვაწეთა

სხვადასხვა ზომის მხატვრული სურათები და ქეტონები.

მისამართი: თავისუფლების მოედანი, ქარვასლა, ეზოში მე-2 სართული, დარაბა № 2013-¹, ტელეფონი №19—76

სრულიად საქართ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი

ქვ. № 115 1—1

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გამომცემლობა

დაიბეჭდა და იყიდება

1. ანტოშკინი: პროფესიონალური მოძრაობა რუსეთში	55 კაპ.
2. აინზაფტი: ზუბატოვობა და გაპონობა	45 კაპ.
3. ბიხოვსკი: რას წარმოადგენს დამზღვევი კასა.	გაყიდულია.
4. ს. გოდ ბრელიძე: შრომის კანონთა კრებული	20 კაპ.
5. გოლდმანი: შრომის სანიტარული დაცვა. რუსულ ენაზე	15 კაპ.
6. გირინისი: ლენინი და პროფესიონალური მოძრაობა	40 კაპ.
7. მანევსკი: შრომის ტეხნიკური დაცვა. რუსულ ენაზე	20 კაპ.
8. პისეცკი: პროფესიონალური მოძრაობა საბჭ. საქართ.	35 კაპ.
9. იგივე რუსულ ენაზე	40 კაპ.
10. ჩეკინი: პროფმოძრაობის თეორია, პრაქტიკა და ისტორია	გაყიდ.
11. ჩეკინი: თანამედროვე ტრედ-იუნიონიზმის ნარკვევი	1 მან.
12. ტრახტენბერგი: კოლექტიური ხელშეკრულება	75 კაპ.
13. არკ. ან. მუშათა მოძრაობის ისტორია ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში	1 მ. 35 კ.
14. ელბაქიანი: დამზღვევი კასები რუსულ ენაზე	35 კაპ.
15. გრინევიჩი: პროფმოძრაობა რუსეთში	2 მან.
16. ლოზოვსკი: მიმდინარეობათა ბრძოლა მსოფლიო პროფმოძრაობაში	20 კაპ.
17. ტომსკი: ნარკვევი პროფმოძრაობის ისტორიიდან რუსეთში.	გაყიდულია.
18. ტომსკი: პროფკავშირები ახალ გზებზე.	გაყიდულია.
19. ლოზოვსკი: კომუნისტთა ამოცანები პროფმოძრაობაში	35 კაპ.
1. ამხ. ლენინზე წერილებისა და მოგონებათა კრებული	2 მ. 40 კ.
2. გირინისი: რა არის საწარმოო კავშირი	20 კაპ.
3. ბაქრაძე: მუშათა კლასის პროფესიონალური ავადმყოფობანი	1 მან.
4. ლოზოვსკი. საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა	60 კაპ.
5 ჩეკინი: პროფესიონალურ მოძრაობის ანბანი.	1 მ. 20 კ.
6. საქართველოს პროფკავშირები 1923—24 წ.წ.	1 მ. 75 კ.
7. იგივე რუსულ ენაზე	1 მ. 75 კ.

აღნიშნული წიგნები იყიდება გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში, მუშათა სასახლე, ბარიატინის კუთხეში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა:

1. ციებ-ცხელება ანუ მალარია ი. ლომოურის.
2. ფეხბურთი (ქართულ ენაზე).
3. ზინოვიევი: პროფმოძრაობის ამოცანები (სიტყვა წარმოთ. მე-6 ყრილობაზე).
4. რიკოვი: საბჭოთა კავშირების სამეურნეო მდგომარეობა.
5. ლენინი. სიტყვები და წერილები პროფმოძრაობაზე.
6. მძლეოსნობის დარგიდან: 1) რბენი 2) ხტომები 3) ტყორცნა (მ. პატარიძის მიერ გადმოკეთებ.
7. ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია საქართველოში (რუსულ ენაზე).

დაკვეთა შეიძლება საქ. პროფკავშ. საბჭ. საგამომცემლო ქვეგანყოფ. ოთახი № 14.

პროფ. ორგანიზაციებს წიგნი დაეთმობათ 20—30 პროც.-ით დაკლებით. ნის. 667 4—1

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი

სასანიტარო-სატეხნიკო კომისია

ჯ. ს. კ. სანეპიდგანყ. სასანიტარო-სატეხნიკო კომისია

აცხადებს შეჯიბრებას

რესპუბლიკის (ყოფ. მიხეილის)

დამწვარ ნაწილის აღდგენის სამუშევრებზე

შეჯიბრებისთვის საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განცხადებები დაბეჭდილ პაკეტებში.

შეჯიბრება შესდგება ა. წ. 19 იან. დღის 12 საათ.

სამუშაოების ამღებმა უნდა წინასწარ წარმოადგინოს სამუშევრების ღირებულების 10 პრო.

პირობების გაგება შეიძლება სანტეხნიკურ კომისიაში (საპიორის ქ. 30).

სანტეხნიკურ კომისიის თავმჯდომარე ექ. არვანოვი.

ნ. 669. 1—1

შრომის ინვალიდთა

სასადილო

ოჯახური სადილი 2 კერძი—45 კაპ. (2—5 საათამდე.
შრომის ინვალიდთათვის—30 კაპ. (

მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილს, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.

ნ. № 563—8—2

რუსთაველის და [illegible]

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს მსურველებს მიიღონ მონაწილეობა ჯ. ს. კ. საავადმყოფოებისათვის დღეში 25—30 ფუთი პურის ერთი წლის ვადით გამოცხობის

საჯარო ვაჭრობაში

რომელიც დანიშნულია ა | წ. 30 იანვარს შუადღის 12 საათზე ჯ. ს. კომისარიატის საფინანსო სამეურნეო განყოფ. შენობაში საპიორის ქ. № 30.

განცხადებები უნდა შემოტანილ იქნენ დაბეჭდილი კონვერტებში საფ. სამეურნეო განყოფილებაში ჩვენებით, რამდენ გირვანქა პურს იმატებს თითო ფუთ სხვადასხვა ხარისხის ფქვილზე. პურის გამოცხობით გამოწვეულ ხარჯების მოიჯარადრეებზე დაკისრებით.

განცხადებაზე უნდა დართული იქნეს ხაზინის ქვითარი მთელი წლიური იჯარის თანხიდან 10 პროც. საწინდრის სახით შეტანის შესახებ ან გირავნობის ფურცელი უფროს ნოტარიუსიდან ქონების დაგირავების შესახებ.

იჯარის გაცემის დროს ჯანსახკომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო შეძლეულ მომატებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომელნიც შეეფერებიან ჯანსახკომისარიატის ინტერესებს.

ამის გარდა ჯანსახკომისარიატი იტოვებს უფლებებს 30 იანვარს დღის 1 საათზე მოახდინოს განმეორებითი ზეპირი შეჯიბრება.

დაწვრილებითი კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ჯ. ს. კ. საფ. სამეურნეო განყოფილებაში 1—2 საათამდე. ნ. 661 3—2

საფინგანი

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ შემოსავალ-გასავლის სალაროში შემოღებულია 6 პროც.

სახელმწიფო მომგებიან სესხის ობლიგაციების

უფასოდ შენახვა და ამავე წესითვე იქნება მოწყობა 5 პროც. საგლეხო

მომგებიან სესხის ობლიგაციების შენახვაც

საფინანსო განყოფილების გამგე გვაზელი.

ნის. 663 3—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით [illegible] დაარსებული

მიხეილ ჩადევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

იღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, კორლანოვის ქ. № 20. 9205. 25—13

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეციალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—2

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მოსი

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით სექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—1, საღამოს 5—7 საათ. არდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—11

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ის პირდაპირ. № 3203. 25—1

ექიმი

ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა

მიღება საღ. 7—8 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) [illegible] 4—65

25—3

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერ. და ხნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9 დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—1

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარე და გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13 ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372—100—29

ექიმი

ე. მ. მჟინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პრო. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—7

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 14936 მარია ბერიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 114 1—1

„ზარია ვოსტოკის" სტამბა სანა წულუკიძის ქუჩა № 4